ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 13 მარტი 2004 №56 (2075) | ფასი 50 თეთრი


# შმაგი დონის უცნაურობა: შინიდანგაუსვლელი შინმოუსვლელი

## წილისყრა უკვე ბედისწერაა, კენჭისყრა ლოდების ტყორცნა



შვეიცარიულ ნიონში, უეფას შტაბ-ბინაში, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური წყვილების ვინაობა და დარჩენილი შეჯიბრების ბადე გაირკვა. რა იყო ყველაზე სახალისო ან თვალსაჩინო? თვალსაჩინი ინგლისური გუნდების დაპირისპირება გახლდათ — „ჩელსი“ იმ „არსენალს“ შეხვდება, ვისგანაც სისხლი აქვს გამშრალი. ხუმრობა ხომ არ არის — ლონდონის ამ ორი გუნდის ბოლო 16 მატჩიდან „ჩელსიმ“ ერთიც ვერ მოიგო. სახალისო კი ის არის, რომ, ბოლოს და ბოლოს, ჩემპიონთა ლიგის სტუმრად თამაშში „მეთოფე“ დენის ბერხკამპს ვნახავთ, ვისაც მოგეხსენებათ, ფრენის ეშინია და გუნდს შორ გზაზე არ მიჰყვება-ხოლმე.

და რას ამბობს ბადე, ვის შეხვდება ამ „შინიდან გაუსვლელ“ წყვილში გამარჯვებული? ლონდონელთა შორის უმჯობესს ნახევარფინალში „რეალსა“ და „მონაკოს“ შორის უმჯობესი შეხვდება. ესპანურ-ფრანგული დუელის პირველი მატჩი მადრიდში ჩატარდება.

ტერაქტით ელდანაცემი მადრიდი თავის ძველ გმირს, ფერნანდო მორიენტესს მიიღებს და მატჩის დაწყებამდე უთუოდ ტაშსაც დაუკრავს, მაგრამ თამაშისას „ელ მორომ“ გოლი თუ გაიტანა, ვინძლო ესპანელებს სანანებლადაც გაუხდეთ ფორვარდის „გაფრანგება“.

„მილანი“ პირველ მეოთხედფინალურ შეხვედრას „სან სიროზე“ „დეპორტივო ლა კორუნიასთან“ გამართავს. გამოდის, რომ ბედმა ლაკორუნიელები იტალიაში ზედიზედ მეორედ მგზავრობისთვის გასწირა, თუმცა, ალბათ, აქ გასწირა ძალიან ხმამაღლა და უადგილოდ ნათქვამი სიტყვაა...

მეორე მხრივ, „მილანმა“ შარშან „დეპორტივოს“ 4:0 მოუგო, კარლო ანჩელოტიმ კი შვებით ამოისუნთქა — მთავარია, „რეალს“ ავცდითო.

დარჩა „პორტუსა“ და „ლიონის“ წყვილი, რომლის პირველი დაპირისპირება პორტუგალიაში გაიმართება, ორივეს მწვრთნელები კი ამტკიცებენ, ჩვენი შებმა ყველაზე სანახაობრივი იქნებაო.

მეოთხედფინალში გასული რვა გუნდიდან ხუთი, „არსენალი“, „მილანი“, „რეალი“, „მონაკო“ და „პორტუ“, ამჟამად თავისი ქვეყნის პირველობის ლიდერია, ხოლო სახალისო სტატისტიკიდან კიდევ იმის თქმა შეიძლება, რომ ერთი წლის წინანდელი მეოთხედფინალისტებიდან ახლა ამ ეტაპზე მხოლოდ „მილანი“ და „რეალი“ არიან გასული.






ფერნანდო მორიენტესი ძველ და ახალ საქმესა და ხალხს შორის მოექცა






ჯო ფრეზერთან– რამაზ ფალიანმა ლეგენდას ხელი გადახვია

# შემორტყმა

## რამაზ ფალიანმა ამერიკელს ისე შემოარტყა, ქამარი შემოირტყა

შორს, ამერიკაში, სახელისა და სახსარისთვის გადახვეწილი ჩვენებური მოკრივეები დროს ფუჭად არ ფლანგავენ. რამდენიმე სარეიტინგო ბრძოლის მოგების შემდეგ ისინი მომცრო ქამრებისთვის ჩხუბამდეც მიუშვეს. კობა გოგოლაძემ უკვე ორი ქამრის შემორტყმა მოასწრო, ქართულ მონაგარს კი გუშინ ერთიც წაუმატა რამაზ ფალიანმა. ეს ქამარი თუმც IBA-ს ვერსიისაა (ინტერკონტინენტალ ბოქსინგ ესოუშიეიშენ), მაგრამ არც ციდან ჩამოვარდნილა და არც გაქნილ მენეჯერს უჩუქებია, რამაზმა მისთვის უგრძეს, 12-რაუნდიან და საკმაოდაც მძიმე ბრძოლაში ჩამოართვა ყოჩაღ ზანგ მარტეზ ლოგანს. „მეტოქე იმაზე ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ველოდით — გვიყვება რამაზის უმცროსი ძმა შალვა — იცოდა რამაზის ჩხუბი და მეორე-მესამე რაუნდებში ისე შეუტია, შევშინდა. მაგრამ რამაზმა თანდათან მოუმატა და მეშვიდე რაუნდში ნოკდაუნიც აგემა...“ საბოლოოდ, რამაზ ფალიანმა 12 რაუნდში, მართალია, ქულებით, მაგრამ როგორც შალვა და კობა გვეუბნებიან, მაინც დიდი უპირატესობით მოიპოვა თავისი პირველი პროფესიული ტიტული.

იხილეთ მეცამეტე გვერდი

# დავით ყიფიანის თასი

## მერვედფინალი. საპასუხო მატჩები



# ერთი გოლის თამაში

თბილისი. 12 მარტი. 15 საათი. ოლიმპიკი. 500 მაყურებელი

## სპარტაკი 2:0 ამერი (0:0)

| | |
|---|---|
| 1:0 მაღლაფერიძე (72), ტატანაშვილი (90) | |
| სპარტაკი: დევაძე, დონდოლაძე, ჟვანია, ა. იმნაიშვილი, კიკნაძე, ჩიკვილაძე, ი. სამხარაძე (ტატანაშვილი 46), ჯანგიძე, კვერენჩხილაძე (მაღლაფერიძე 46), ლ. ვაშაკიძე, ლ. მჭედლიშვილი (პაპუაშვილი 87). სათადარიგონი: გრძელიძე; პაპუაშვილი, ს. შელია, კ. შალამბერიძე. მწვრთნელი: მურთაზ ხურცილავა | ამერი: ასლანაძე, კედელაშვილი, ელბაქიძე, დავითნიძე, კუსრაშვილი, წინამძღვრიშვილი, გარუჩავა, განუგრავა (ბ. გოცირიძე 76), შონია, ხუბუა, სილაგავა. სათადარიგონი: რ. თევდორაძე; დ. მჭედლიშვილი, ნიკოლაიშვილი, ფირანიშვილი, ჩიმაკაძე. მწვრთნელი: თამაზ კოსტავა |
| გაფრთხილება: გოცირიძე (81), ტატანაშვილი (89) | |
| მსაჯები: ა. კრიჭაშვილი (თბილისი); ი. აფციაური (დუშეთი), მ. ურუშაძე (თბილისი); გ. ასკაროღლი (ქარელი) | |
| სფფ-ის ინსპექტორი: ს. კუტივაძე | |

**დავით თავართქილაძე**

იმნაიშვილმა მარცხენა ფლანგიდან „ამერის“ კარის შორეულ ძელთან ჩაჰკიდა, მოჭრილი „პარაშუტი“ იყო, მაგრამ კარიდან გამოსულ დავით ასლანაძეს სპარტაკელმა დიმა ტატანაშვილმა აჯობა, თავურით დაუგდო ბურთი დავით მაღლაფერიძეს და მანაც ცარიელ კარში გაიტანა — ასე გავიდა პირველი გოლი და მეოთხედფინალში გამსვლელიც გაირკვა — ერთი გოლის თამაში იყო.

ასლანაძის შეცდომა ძალიან ძვირად კი დაუჯდა „ამერს“, მაგრამ თამაშს გუნდი აგებს და არა ერთი ფეხბურთელი. თანაც, თუ მეოთხედფინალში გასვლა გინდა, მეტოქეს 180 წუთში ერთი გოლი მაინც უნდა გაუტანო, რაც „ამერმა“ ვერ მოახერხა.

„სპარტაკის“ თავკაცმა მურთაზ ხურცილავამ კი სამივე შეცვლა გამოიცნო — მეორე გოლზეც შეცვლაზე შესულებმა იყოჩაღეს — გიორგი პაპუაშვილმა კარგი პასი გაუჭრა ტატანაშვილს, ვინც ოსტატურად დაიჭირა მოძრაობაზე ასლანაძე — „სპარტაკმა“ ეს კონტრშეტევაზე მოახერხა.

მატჩის დასაწყისში „ამერი“ მეტოქეზე უფრო აქტიური ჩანდა მოედნის ცენტრში, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჯანგავაძემ მე-13 წუთზე ამერელთა კარის ხარიხას დაამგერა ბურთი, „სპარტაკმა“ იძალა — დაახლოებით ათწუთიანი შტურმისმაგვარი მოუწყო მეტოქეს, მაგრამ ღირებულს ვერაფერს გამორჩა. შემდეგ „ამერმა“ თამაში გამოასწორა და მწვავე იერიშიც მიიტანა მეტოქეზე. ერთხელ აკაკი დევაძეს მოუწია გარჯამ, როცა კედელაშვილის მაღალი ბურთი კუთხურზე მოიგერია.

ტაიმის მიწურულს კი „ამერმა“ დიდებული შანსი გააცუდა — ფარნაოზ კუსრაშვილის მოხდენილი პასით რატი წინამძღვრიშვილი დევაძესთან პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ ვერც ძალაზე დაარტყა და ვერც შესრულებაზე — გამოცდილმა დევაძემ კი ბურთი კარში არ შეუშვა.

შესვენების შემდეგ გოლების გარდა გამოსარჩევი ეპიზოდები არ ყოფილა, მაგრამ ის კი უნდა ვთქვათ, რომ უმაღლესლიგელმა „სპარტაკმა“ ამერელი გელა ხუბუა, ვინც პირველ ტაიმში აქტიურობდა, მეორეში ამოკეტა, ხოლო საპირისპირო ფლანგიდან „ამერი“ მაინცდამაინც ვერ აგრესიულობდა და პირველი გოლიც იქიდან დაწყებული იერიშით გაუშვა.

მოკლედ მეოთხედფინალში უმაღლესლიგელი „სპარტაკი“ გავიდა, ხოლო პირველლიგელმა „ამერმა“ დაგვანახა, რომ ზედა ლიგასთან უფსკრული კი არა, ერთი, ოღონდ ქვინიანი ნაბიჯი აშორებს. ისიცაა, რომ თამაზ კოსტავას გუნდს გუშინ გიორგი ჩიხრაძე, დიმიტრი ვერემჩუკი, მამუკა რუსია და ალეკო კაიდარაშვილი აკლდნენ — პირველი სამი ტრავმის გამო, ხოლო კაიდარაშვილი დისკვალიფიცირებულია.



წყალტუბო. 12 მარტი. 15 საათი. 26 მაისი

## სამგურალი 3:1 დინამო (0:6)

მსაჯები: ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); ა. ნონიკაშვილი (თბილისი), [illegible] (ქუთაისი); ვ. ელისაბედაშვილი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: [illegible]

# დინამოს კარი [illegible]

## სადაა წყალტუბოში წყალტუბო?

„სამგურალი“—„დინამოს“ მერვედფინალის ბედი 6 მარტს, თბილისურ მატჩში გადაწყდა. დინამოელებმა იმერლებს ექვსი უპასუხო გოლი გაუტანეს და წყალტუბოში გულდამშვიდებულნი და შემადგენლობაშესუსტებულნი გაემგზავრნენ: თბილისში დარჩნენ ანჩაბაძე, ნემსაძე, კვირკველია და წერეთელი.

წყალტუბოში თამაშს თავსხმა წვიმა და ამის შედეგი, სათამაშოდ უვარგისი, ატალახებული მოედანი შეესწრო და მოულოდნელი შედეგიც მოჰყვა: „სამგურალმა“ 3:1 მოიგო.

დინამოელებს სათადარიგოთა სკამზე ზოიძელა დარჩათ. მე-14 წუთზე თბილისელები მელქაძემ დააწინაურა. ამის მერეც მათ არაერთი საგოლე მომენტი შექმნეს. პირველი ტაიმი ცალკარა გამოდგა, მეორე ნახევრიდან კი თამაში შეიცვალა.

ფრანგიშვილმა მისივე წაქცევისათვის დანიშნული პენალტი 49-ე წუთზე გოლად აქცია. 51-ე წუთზე თუთბერიძემ მასპინძლები დააწინაურა. მას შემდეგ, რაც ტრავმირებული კარლოსი ხმალაძით შეცვალეს და შეცვლების ლიმიტი ამოწურეს, თავად ხმალაძეც 5 წუთში დაშავდა და თბილისელები 55-ე წუთიდან კაცნაკლულნი დარჩნენ.

75-ეზე ჩხეტიანმა „დინამოს“ მესამე გოლიც გაუტანა და ათასმდე ქომაგი ძალიანაც გაახარა.

„დინამომ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა:

*გვარამაძე, კაშია, შაშიაშვილი, კანდელაკი, კარლოსი (ლ. ხმალაძე 55), ქოქიაშვილი, გოგობერიშვილი, ჰომერო, ახალაია, მელქაძე (კაკალაძე 46), მ. ბობოხიძე (იაშვილი 46).*

**დავით ერაძე**



გივი ჩხეტიანის და ნიკო კიკვიძის „სამგურალი“ ალეკო გოგობერიშვილის „დინამოს“ სამ გოლსა და პატარა სიხარულს გამორჩა

ჟაბუკიანი. 13 მარტი. 15 საათი. ცენტრალური

**ჰერეთი — დილა (0:3)**

მსაჯები: ლ. სილაგავა (თბილისი); ზ. ფიფია (გალი), ლ. თოდრია; ი. კახიანი (ორივე თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი

მცხეთა. 13 მარტი. 15 საათი. არმაზი

**ვიტ ჯორჯია — კოლხეთი (3:0)**

მსაჯები: გ. ვადაჭკორია; ზ. მენთეშაშვილი, მ. ელიკაშვილი; ა. შილაკაძე (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

თბილისი. 13 მარტი. 15 საათი. ისანი

**თბილისი — ლოკომოტივი (0:1)**

მსაჯები: მ. მალაღურაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. შალამბერიძე (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი

ქობულეთი. 13 მარტი. 15 საათი. ცენტრალური

**ქობულეთი — მერცხალი (1:2)**

მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი); კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი (ორივე ქუთაისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. თევზაძე

მცხეთა. 14 მარტი. 15 საათი. არმაზი

**მცხეთა — ბათუმი (0:1)**

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ა. სამხარაძე (სოხუმი), ზ. ხუციშვილი (თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

ბოლნისი. 14 მარტი. 15 საათი. თამაზ სტეფანია

**სიონი — ტორპედო (0:0)**

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი), გ. ცირდავა (გულრიფში); დ. სანაია (სოხუმი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია



*უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გრიგორი სურკისი დიდ განამანიაშია და ყველანაირად ცდილობს, ნაკრების თავკაც ოლეგ ბლოხინს ხელი შეუწყოს. 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ჩვენი მეტოქე ქვეყნის ფეხბურთის მამები გუნდისგან ფინალური ეტაპის საგზურს ითხოვენ და საამისოდ არაფერს იშურებენ. 31 მარტს კი უკრაინელები შესარჩევისთვის მოსამზადებელ მეორე ამხანაგურ მატჩს მაკედონიასთან გამართავენ. თებერვალში ოლეგ ბლოხინის ბიჭები ლიბიას 1:1 დაუზავდნენ*

ცოტა საჩვენო

# უკრაინული ამბები

*გრიგორი სურკისი* კი გუშინწინ ჟურნალისტებს ჩვენთვის საინტერესო თემებზეც ელაპარაკა, რასაც მონოლოგის სახით გთავაზობთ:

— არ მინახავს სხვა ისეთი ქალაქი, სადაც ლვოველთა დარი მხარდაჭერა იციან, ამიტომ ლვოვში შესარჩევი ციკლის საშინაო მატჩს აუცილებლად ჩავატარებთ. ჯერჯერობით არ დაგვიზუსტებია, რომელ ნაკრებს დავუხვდებით ლვოვში. ამაზე ვმსჯელობთ და უახლოეს დღეებში მოგახსენებთ.

— უკრაინის ჩემპიონატში ძალიან მომრავლდნენ ლეგიონერები. ამ საკითხზე დაფიქრება გვმართებს. თავიდან ალბათ ასეთ გზას ავირჩევთ: ნებისმიერი კლუბი ვალდებული იქნება, სამატჩო განაცხადში ორი-სამი ცხრამეტწლამდელი უკრაინელი ფეხბურთელი შეიყვანოს. მაგრამ თუ კლუბებმა მაინც გააგრძელეს აქცენტის ლეგიონერებზე გადატანა, მაშინ სხვა გამოსავალი უნდა ვეძიოთ, მაგალითად, ასეთი: გინდა ლეგიონერი? გადაიხადე 10 ათასი ევრო. მეორეც გინდა? მაშინ უკვე 15 ათასის გადახდა მოგიწევს. ეს ცნობილი ფინანსური სქემაა. სხვაგვარად, ბავშვთა ფეხბურთი დაგველუპება.

— კიევის „არსენალში" ორი ტრაგიკული შემთხვევა მოხდა და, ცხადია, ეს ძალიან გულსატკენია. აფხაზავას და პავიცკის სიკვდილზე ჩემი აზრი მაქვს: მათ თავიანთი კარიერის დასაწყისში საფუძვლიანი სამედიცინო შემოწმება არ გაუვლიათ. თუმცა თანამედროვე ფეხბურთის სიჩქარეებიც გასათვალისწინებელია. ფეხბურთელების ჯანმრთელობაზე უნდა ვიზრუნოთ.

**ქახა შალამბერიძე**

*თბილისის „დინამო" დღე-დღეზე კიდევ ერთი მცველით გაძლიერდება – ერთ დროს საქართველოს ნაკრების წევრი ლევან სილაგაძე თითქმის ყველაფერზე შეუთანხმდა ახალ კლუბს. „დინამოსა" და სილაგაძეს შორის კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულა, თუმც არც ესაა შორეული ამბავი – რუსეთის საფეხბურთო კავშირიდან ფეხბურთელის სატრანსფერო ფურცლის ჩამოსვლისთანავე შეთანხმება ოფიციალურ სახეს მიიღებს*

# სილაგაძემ დინამო თქვა და ნაკრები გაიფიქრა



— ჯერჯერობით „დინამოში" მაისამდე ვითამაშებ და მერე ვნახოთ. თუ შევთანხმდებით, ხელშეკრულებას გავაგრძელებთ. სავარაუდოდ, სამწლიან კონტრაქტზე იქნება ლაპარაკი. ახლა მხოლოდ სატრანსფერო ფურცლის ჩამოსვლას ველი — გვითხრა გუშინ ლევან სილაგაძემ.

ამ ტრანსფერში „დინამოს" თეთრიც არ გადაუხდია. სილაგაძეს ყაზანის „რუბინთან" კონტრაქტი დაუმთავრდა და კომპენსაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა გადასახდელი, თუკი ფეხბურთელი კარიერას რუსეთში გააგრძელებდა. ისე, ასეთი შანსი სილაგაძეს ჰქონდა გროზნოს „ტერეკის" სახით, თუმც საქმე წინ არ წასულა. მანამდე ლევანს კიევის „არსენალის" ვარიანტიც ჩაეშალა უკრაინულ კლუბში შექმნილი ფინანსური კრიზისის გამო. ახლა კი „დინამოს" თავკაც ივო შუშაკს ამისულაშვილ-ხიზანეიშვილის წასვლით გაჩენილი სიცარიელის ამოვსების შესაძლებლობა მიეცა.

ერთი სიტყვით, სილაგაძე ეროვნულ ჩემპიონატში ბრუნდება და საქართველოს ნაკრებში დაბრუნების იმედიც აქვს. შეგახსენებთ, მას ადრე რუსთავის „მეტალურგში", თბილისის „ლოკომოტივსა" და ქუთაისის „ტორპედოში" უთამაშია.

**ქახა შალამბერიძე**

# ქართველების აუღებელი ტრაპაიძემ აიღო

**სიმფეროპოლის** „ტავრიას" ყოფილი ნახევარმცველი გოჩა ტრაპაიძე ლუცკის „ვოლინში" გადავიდა. ლუცკელებმა ჩვენებურს უკვე კონტრაქტიც გაუფორმეს და გუშინწინ საჩემპიონატო განაცხადშიც შეიყვანეს.

27 წლის ტრაპაიძეს შარშანდელი სეზონის შემდეგ არსად უთამაშია. სიმფეროპოლელების მიერ დაწუნებული ფეხბურთელი უკრაინაში დარჩა და ინდივიდუალური ვარჯიშით ცდილობდა ფორმის შენარჩუნებას. ტრაპაიძეს წლეულსლა გაუმართლა — ვიტალი კვარციანიმ „ვოლინში" მიიწვია, რამდენიმე შეკრებაზე დააკვირდა და გუნდშიც დაიტოვა.

შეგახსენებთ, რომ ლუცკის „ვოლინში" კიდევ სამი ქართველი აპირებდა ფეხის მოკიდებას — ლაშა სალუქვაძე, დავით ჭიჭველიშვილი და ირაკლი ვაშაკიძე. თუმც ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. ჩვენებურებს ვოლინური პირობები არ ეამათ და საქართველოში დაბრუნდნენ.

„ვოლინი" უკრაინის ჩემპიონატის აუტსაიდერია და უმაღლეს ლიგაში დასარჩენად იბრძვის. თუმცა ზედმეტად ოპტიმისტ ვიტალი კვარციანის თქმით, მალე კიდევ რამდენიმე ახალ ფეხბურთელს შევიმატებთ და მერე ევროთასებზე გასვლაც არ იქნება მიუწვდომელი ოცნებაო.

**ქახა შალამბერიძე**

# ფოფხაძის კრივბას-კუზბასი

**საქართველოს** ნაკრებისა და უკრაინული „კრივბასის" ყოფილი მცველი ზურაბ ფოფხაძე, სავარაუდოდ, ნოვოკუზნეცკის „მეტალურგ-კუზბასში" გააგრძელებს კარიერას. ყოველ შემთხვევაში, რუსები ჩვენებურის თურქულ შეკრებაზე წაყვანას აპირებენ და კონტრაქტსაც ალბათ იქ გაუფორმებენ. პირველდივიზიონელი „მეტალურგ-კუზბასი" შეკრებაზე გუშინ გაემგზავრა. ამ გუნდში კიდევ ერთი ქართველი, ლევან ბერიშვილი ირიცხება.

ფოფხაძეს აქამდე უკრაინული ვარიანტების იმედი ჰქონდა, თუმც ამ საქმიდან არაფერი გამოუვიდა. არადა, ბოლო ორი სეზონია, „კრივბასში" სტაბილურად ძირითადის კაცად ითვლებოდა. ჩვენებურის საქმეები მწვრთნელთან უთანხმოების მერე აირია. ზურა „კრივბასის" სათადარიგოთა სკამზე ჯდომას ვერ შეეგუა და... უგუნდოდ დარჩა. რამდენიმეთვიან ლოდინს არცთუ ისე საინტერესო ვარიანტი მოჰყვა, მაგრამ ფოფხაძეს „მეტალურგ-კუზბასზე" უარი მაინც არ უთქვამს და რუსეთის პირველდივიზიონელთა ქართულ ლეგიონს შეუერთდა.

შეგახსენებთ, რომ ფოფხაძესთან ერთად „კრივბასში" ლევან მიქაძეც თამაშობდა, თუმც უკრაინელებმა მალე ისიც ზურას გზას გაუყენეს.

**ქახა შალამბერიძე**



ზურაბ ფოფხაძე (მარცხნივ) და ლევან მიქაძე შარშან კრივბასელები იყვნენ

*რუსეთის პრემიერლიგა გუშინ კი განახლდა, თუმცა ქართველებისთვის საინტერესო მატჩები დღეს და ხვალ გაიმართება. „ალანია" და „როსტოვი" დღეს „რუბინსა" და „ტორპედო-მეტალურგს" მასპინძლობენ. ხვალ „ლოკომოტივი" „შინიკს" მიიღებს ჩერკიზოვოში.*

*ბუნებრივია, ინტერესით ველოდით ვიტალი დარასელიას დებიუტს „ალანიაში" და გუშინ ამიტომაც შევეხმიანეთ ვლადიკავკაზში, თუმც...*

# ვირუსი დარასელიასთვის, შანსი გვაზავასთვის



ვიტალი დარასელია



ლევან გვაზავა

— მესამე დღეა, არ მივარჯიშია. სიცხე მაქვს, რაღაც ვირუსია. კასიმოვმა მოიტანა და ჩემს გარდა კიდევ ორ-სამ ფეხბურთელს გადასდო. ყველაზე ცუდად მე ვარ.

— **არადა, შენს თამაშს ველოდით...**

— ბედი არ გინდა, ფორმაში შევედი და ეს ვირუსი... ორ დღეში დავიწყებ ვარჯიშს და ვითამაშებ აბა, რას ვიზამ...

— **ბინა თუ მოგცეს?**

— რასაც კონტრაქტით შემპირდნენ, კლუბმა ყველაფერი შემისრულა, ბინაც ქალაქის ცენტრში გამომიყვეს.

ამის შემდეგ „ალანიას" კიდევ ერთ ქართველს, *ლევან გვაზავას* შევეხმიანეთ:

— ახლა თამაშისწინა შეკრებაზე ვართ. გუნდში საბრძოლო განწყობაა. კურბისმა უკვე ჩაატარა თეორიული მეცადინეობა.

— **ესე იგი, იმ სასტარტო შემადგენლობასაც გაგაცნობდათ, „რუბინთან" რომ ათამაშებს...**

— შემადგენლობა გამოაცხადა და მე სასტარტოში არ ვარ. თუმცა კურბისი შემპირდა, რომ ამჯერად ადრინდელზე მეტ დროს მომცემდა. ეგებ მეორე ტაიმი სრულადაც ვითამაშო. ყოველ შემთხვევაში, ვატყობ, რომ საუკეთესო ფორმაში ვარ და გუნდისთვის სარგებლის მოტანა შემიძლია.

**დავით ერაძე**

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

სარბიელი

# ჩემპიონთა ლიგა 2003-2004



ეჭვი არაა, ფერნანდო მორიენტესი „რეალის“ წყენას შეეცდება

## ტოტალიზატორ „უილიამ ჰილის“ კოეფიციენტები ჩემპიონთა თასის აღებაზე

| | | | |
|---|---|---|---|
| რეალი | 5-2 | ჩელსი | 9-1 |
| მილანი | 3-1 | დეპორტივო | 9-1 |
| არსენალი | 7-2 | ლიონი | 14-1 |
| პორტუ | 15-2 | მონაკო | 25-1 |

## მეოთხედფინალის წილისყრა

პორტუ (პორტუგალია) – ლიონი (საფრანგეთი)

მილანი (იტალია) – დეპორტივო (ლა კორუნია, ესპანეთი)

პირველი მატჩები — 23 მარტი. საპასუხო მატჩები — 7 აპრილი

რეალი (მადრიდი, ესპანეთი) – მონაკო (საფრანგეთი)

ჩელსი (ლონდონი, ინგლისი) – არსენალი (ლონდონი, ინგლისი)

პირველი მატჩები — 24 მარტი. საპასუხო მატჩები — 6 აპრილი

## ნახევარფინალის წილისყრა

რეალი ან მონაკო – ჩელსი ან არსენალი

პირველი მატჩი — 20 აპრილი. საპასუხო მატჩები — 5 მაისი

პორტუ ან ლიონი – მილანი ან დეპორტივო

პირველი მატჩი — 21 აპრილი. საპასუხო მატჩები — 4 მაისი

ფინალი. 26 მაისი. გელზენკირხენი

I ნახევარფინალის გამარჯვებული – II ნახევარფინალის გამარჯვებული

# ფასიანი თავისუფლება
## მოძალადისა და მსხვერპლის კარეო

**პოლ დიკოვი,** ფრენკ სინკლერი და კეიტ გილესპი ესპანეთში, სანხორენას ციხეში აღარ სხედან, მოსამართლემ ისინი 288 ათასი ევროს სანაცვლოდ სასამართლომდე გაათავისუფლა. შეგახსენებთ, რომ სამი ქალის გაუპატიურების ბრალდებით დაჭერილ ამ ლესტერელ ფეხბურთელებს 14 წლამდე პატიმრობა ელოდათ და... კაცმა რომ თქვას ელით კიდეც, რადგან საქმის გარჩევა ჯერ არ დასრულებულა, თუმცა იმავე საქმე ისეთი პირი უჩანს, რომ ინგლისელი ფეხბურთელები, რას, რას და, ესპანურ საპყრობილეში ჯდომას გადარჩებიან.

ზემოხსენებული სათავდებო თანხა ასე განაწილდა: პოლ დიკოვის გადასახდელი შეიქნა 120 ათასი ევრო, ფრენკ სინკლერისა 60 ათასი, კეიტ გილესპის წილ ამდენივე, 60 ათასი ევრო მოვიდა და 48 ათასიც სამოქალაქო პასუხისმგებლობებისთვის გახდა გადასახდელი.

„ფეხბურთელები სასამართლოს გადაწყვეტილებით კმაყოფილნი არიან. მათ უხარიათ, ინგლისში რომ შეუძლიათ დაბრუნება და მძიმედ გადასატანი პერიოდი რომ დასრულდა. ჯანმრთელობის მხრივ მათ პრობლემა არ აქვთ და ერთი სული აქვთ, როდის შეუერთდებიან თავიანთ ოჯახებს. ამასთან, ისინი ამტკიცებენ, რომ სრულიად უდანაშაულონი არიან და იმედოვნებენ, რომ ესპანეთის სასამართლო სიმართლეს დაადგენს“ — განაცხადა საკმაოდ ბრტყელ-ბრტყელად „ლესტერ სიტის“ აღმასრულებელმა შეფმა დიმ დევისმა.

მოსამართლის ასეთმა გადაწყვეტილებამ, ბუნებრივია, ვერ ასიამოვნა დაზარალებულთა თუ ვითომ დაზარალებულთა ვექილს, ქალბატონ ენკარნასიონ გომესს, რომელმაც თავის კლიენტებთან ამ თავდებზე ველარ ილაპარაკა, რადგან ისინი მანამდე გაიყვანეს სასამართლოს შენობიდან.



ყოჩაღმა ვექილმა ანა რუიპერესმა კეიტ გილესპი, პოლ დიკოვი და ფრენკ სინკლერი „ვირის აბანოდან“ დაიხსნა

„რაც მოხდა, კარგი არ არის, მაგრამ მოსამართლის გადაწყვეტილებას პატივს ვცემთ“ — თქვა მან.

აღსანიშნავია, რომ ესპანეთის სასამართლოს ინგლისელი ფეხბურთელები 288 ათასი ევროს ეშხით კი არ გაუთავისუფლებია, ამ გათავისუფლებას წინ მუშაობა და საფუძვლის შემზადება უძღოდა. კერძოდ, ჩატარდა ეგრეთწოდებული „კარეო“, რაც ბრალდებულის და მომჩივანის დაპირისპირებას ნიშნავს. ჩვენი ისტორიის „კარეო“ ასე ჩატარდა: ინგლისური ტრიოს ერთი წარმომადგენელი დაზარალებულთა სამეულის ერთ წევრს დაუპირისპირეს. კითხვებს ხან ერთს უსვამდნენ და ხან მეორეს.

ფეხბურთელთა ვექილმა, ლუის რუიპერესმა განაცხადა: „მომხდარის სურათს ერთი თავისი ამბებით ხატავდა, მეორე კი თავისით, ხოლო მოსამართლენი მიღებული ინფორმაციის მიხედვით ობიექტური წარმოდგენის შექმნას ცდილობდნენ“.

უნდა ითქვას, რომ ესპანელ სამართალდამცველთა მუშაობა მხოლოდ „კარეოთი“ არ ამოწურულა. მათ საფუძვლიანად დაკითხეს სასტუმრო „ლა მანხას“ თანამშრომლები და მაშინდელი სტუმრები. გარდა ამისა, ძიებისთვის დამატებითი ცნობების მოსაწოდებლად ინგლისიდან ესპანეთში დაბრუნდა „ლესტერ სიტის“ გერმანელი ფეხბურთელი და ერთი კვირის წინ ყველასთან ერთად დაკავებული შტეფან ფრიოინდი. რაც შეეხება თავად პროცესს, რომელიც თავდების თანხის დასახელებით დასრულდა, იგი 15 საათი მიმდინარეობდა.

**ბაბუნა ძიდია**



ფერნანდო ტორესი

# 90 მილიონი რა ამბავია?!

**„მანჩესტერ იუნაიტედს“** შეტევაში აშკარად უჭირს და ამის მაგალითად ბოლო რამდენიმე მატჩის გახსენებაც კმარა, ბობოლა ინგლისური კლუბი, მუდამ განთქმული თავისი შეტევით, ახალ ფორვარდებს ეძებს. ლონდონის „არსენალმა“ ესპანურ „სევილიას“ ხოსე ანტონიო რეიესი წაჰგვარა. „მანჩესტერს“ კი მადრიდის „ატლეტიკოს“ მეგოლის, ფერნანდო ტორესის წაყვანა სურს.

ინგლისური მედიის ცნობით, „წითლებმა“ მადრიდელებს ტორესის სანაცვლოდ ურუგვაელი დიეგო ფორლანი და ზედ 36 მილიონი ევრო შესთავაზეს. ფორლანი ძალიან იშვიათად ჩნდება ძირითად შემადგენლობაში და მისი გასხვისებაც მანჩესტერელებს ამიტომ უფიქრებიათ.

ესპანურმა კლუბმა შეთავაზება იუარა. რამდენიმე თვის წინ ფერნანდო ტორესმა „ატლეტიკოსთან“ კონტრაქტი 2008 წლამდე გაახანგრძლივა. კონტრაქტის თანახმად, თავდამსხმელის წაყვანის მსურველმა 90 მილიონი ევრო უნდა გაიღოს. საეჭვოა, რომ ახალგაზრდა ფორვარდის სანაცვლოდ ვინმემ ამდენი ფული გადაიხადოს, თან თვითონ ყმაწვილკაცმა არაერთხელ განაცხადა, მადრიდის „ატლეტიკოს“ ერთგული ვარ და გოლებს ამ გუნდისთვის გავიტანო.

**გაგა ხუციშვილი**

Copa Toyota Libertadores '2004

## ლიბერტადორესის თასი 2004. ჯგუფური ეტაპი

### I ჯგუფი. III ტური

**სან კაეტანო (ბრაზილია) 1:2 ამერიკა (მექსიკა)**

0:1 პ. პარდო (70), 1:1 მარსინიო (77), 1:2 ნავია (86)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერიკა | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| სან კაეტანო | 3 | 1 | 1 | 1 | 6:5 | 4 |
| პენიაროლი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| სთრონგესტი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |

### III ჯგუფი. IV ტური

**სანტოს ლაგუნა (მექსიკა) 1:0 კრუზეირო (ბრაზილია)**

1:0 ბორგეტი (56)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანტოს ლაგუნა | 4 | 2 | 2 | 0 | 5:3 | 8 |
| კრუზეირო | 4 | 2 | 1 | 1 | 7:4 | 7 |
| კარაკასი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:6 | 6 |
| უნივერსიდად დე კონსეპსიონი | 4 | 0 | 1 | 3 | 5:9 | 1 |

### IV ჯგუფი. IV ტური

**სან პაულუ (ბრაზილია) 1:0 ლიგა დე კიტო (ეკვადორი)**

1:0 ლუის ფაბიანო (73)

**კობრელოა (ჩილე) 0:1 ალიანსა (პერუ)**

0:1 ფარფანი (21)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიგა დე კიტო | 4 | 3 | 0 | 1 | 8:1 | 9 |
| სან პაულუ | 4 | 3 | 0 | 1 | 6:5 | 9 |
| ალიანსა | 4 | 2 | 0 | 2 | 4:5 | 6 |
| კობრელოა | 4 | 0 | 0 | 4 | 1:8 | 0 |

### V ჯგუფი. IV ტური

**სიენსიანო (პერუ) 1:2 ნასიონალი (ურუგვაი)**

0:1 ეგურენი (21), 0:2 კოელიო (45), 1:2 ს. იბარა (48)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნასიონალი | 4 | 2 | 2 | 0 | 3:1 | 8 |
| ინდეპენდიენტე | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| სიენსიანო | 4 | 1 | 0 | 3 | 4:7 | 3 |
| ელ ნასიონალი | 3 | 0 | 1 | 2 | 0:3 | 1 |

### VI ჯგუფი. III ტური

**დეპორტეს ტოლიმა (კოლუმბია) 2:3 რივერ პლეიტი (არგენტინა)**

0:1 მონტენეგრო (51), 1:1 სიჩილიანო (64), 2:1 პენა (67), 2:2, 2:3 კავენაგი (89, 90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რივერ პლეიტი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 7 |
| დეპორტივო ტაჩირა | 3 | 1 | 2 | 0 | 3:1 | 5 |
| დეპორტეს ტოლიმა | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 2 |
| ლიბერტადი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:6 | 1 |

### VII ჯგუფი. IV ტური

**სანტოსი (ბრაზილია) 1:0 ბარსელონა (ეკვადორი)**

1:0 რობინიო (69)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანტოსი | 4 | 3 | 1 | 0 | 9:5 | 10 |
| ბარსელონა | 4 | 1 | 1 | 2 | 5:4 | 4 |
| გუარანი | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 3 |
| ხორხე უილსტერმანი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | 1 |

### VIII ჯგუფი. III ტური

**დეპორტივო კალი (კოლუმბია) 0:1 ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)**

0:1 ფ. ვარგასი (69)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპორტივო კალი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 6 |
| ბოკა ხუნიორსი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| ბოლივარი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| კოლო კოლო | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |

### IX ჯგუფი. IV ტური

**კურიტიბა (ბრაზილია) 2:0 როსარიო სენტრალი (არგენტინა)**

1:0 რეგინალდო (20), 2:0 კ. აკუნია (90ს.კ.)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპორტინგ კრისტალი | 3 | 2 | 1 | 0 | 8:4 | 7 |
| როსარიო სენტრალი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 |
| კურიტიბა | 4 | 1 | 1 | 2 | 4:7 | 4 |
| ოლიმპია | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |

# იტალია

პაპუნა კედია



ტურინელი ჯანლუკა ძამბროტა მილანელ ანდრეი შევჩენკოს ხვალ ვერ დაუდგება

## ციფრები და ემოცია

| XXV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ემპოლი | — | ლეჩე |
| სამპდორია | — | ბოლონია |
| **ხვალ** | | |
| **იუვენტუსი** | — | **მილანი** |
| სიენა | — | ანკონა |
| პარმა | — | ბრეშა |
| ინტერი | — | კიევო |
| პერუჯა | — | მოდენა |
| რეჯინა | — | რომა |
| ლაციო | — | უდინეზე |

| სადღეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 24 | 19 | 4 | 1 | 47:14 | 61 |
| რომა | 24 | 17 | 5 | 2 | 55:11 | 56 |
| იუვენტუსი | 24 | 17 | 4 | 3 | 50:27 | 55 |
| ლაციო | 23 | 12 | 4 | 7 | 33:23 | 40 |
| პარმა | 24 | 11 | 7 | 6 | 35:32 | 40 |
| უდინეზე | 24 | 10 | 7 | 7 | 29:26 | 37 |
| ინტერი | 24 | 10 | 6 | 8 | 40:27 | 36 |
| სამპდორია | 24 | 8 | 9 | 7 | 29:29 | 33 |
| კიევო | 24 | 8 | 6 | 10 | 25:27 | 30 |
| ბრეშა | 24 | 6 | 9 | 9 | 35:39 | 27 |
| ლეჩე | 24 | 7 | 5 | 12 | 28:39 | 26 |
| ბოლონია | 23 | 6 | 7 | 10 | 25:33 | 25 |
| მოდენა | 24 | 5 | 9 | 10 | 20:31 | 24 |
| სიენა | 24 | 5 | 8 | 11 | 28:36 | 23 |
| რეჯინა | 24 | 4 | 11 | 9 | 20:34 | 23 |
| ემპოლი | 24 | 5 | 6 | 13 | 18:39 | 21 |
| პერუჯა | 24 | 2 | 12 | 10 | 30:43 | 18 |
| ანკონა | 24 | 0 | 7 | 17 | 9:46 | 7 |

**„იუვენტუსი“** „მილანს“ მასპინძლობს — კლუბების სახელები ქუხს და დიდ შერკინებას გვპირდება. ეს მატჩი ხვალაა, ჩვენებურად ღამის თორმეტის ნახევარზე.

სახელები სახელებად და სხვა მაჩვენებლების მიხედვით როგორ თამაშს უნდა ველოდოთ? ნუ, ვთქვათ, ცხრილის მიხედვით „მილანი“ პირველ ადგილზეა, „იუვე“ მესამეზე და მათ შორის სხვაობა ექვსი ქულაა, რაც აგრეთვე ძალიან დიდი დაძაბულობის მომასწავებელია — ორივემ იცის, რომ „იუვეს“ მოგება სხვაობას სამ ქულამდე ამცირებს, „მილანისა“ კი, ფაქტობრივად, „იუვენტუსის“ და სკუდეტოს დამშვიდობებას ნიშნავს.

საინტერესოა, რომ „იუვენტუსი“ ერთადერთი დიდი კლუბია, რომელსაც მიმდინარე სეზონში „მილანმა“ ჯერჯერობით ვერ მოუგო. საერთოდაც, „მილანი“ ტურინში განსაკუთრებული შედეგებით ვერ დაიკვეხნის — „დელე ალპიზე“ ბოლო ოთხი სტუმრობისას „შავ-წითლებმა“ მხოლოდ და მხოლოდ ორი გოლი გაიტანეს. მოგებით მილანელებმა ბოლოს 1999 წელს მოიგეს.

1998 წელს „იუვენტუსმა“ სანსიროელ სტუმარს 6:1 აჯობა, რაც ბოლო პერიოდის ყველაზე შთამბეჭდავი შედეგი გახლდათ, ხოლო ამ ამბამდე ზუსტად 40 წლით ადრე მეტოქეებმა ერთმანეთს 9 გოლი გაუტანეს. 5 „იუვემ“, ხოლო 4 „მილანმა“. 1950 წელს კი ისეთი რამ მოხდა, რაც ალბათ, სამუდამოდ დარჩება ისტორიაში, როგორც რეკორდი — „მილანმა“ ტურინში 7:1 მოიგო.

ეს იყო მშრალი სტატისტიკა, ხოლო ის, რაც შარშანდელ მაისს, ჩემპიონთა ლიგის ფინალში მოხდა, სტატისტიკასთან ერთად ჯერ კიდევ ემოციაცაა.

დღეს „იუვე“ ცუდ ფორმაშიცაა და ტრავმებიც სერიოზულად აწუხებს: ვერ ითამაშებენ ენცო მარესკა, დავიდ ტრეზეგე, ალესანდრო დელ პიერო და იგორ ტუდორი. საეჭვოა, მარკ იულიანოს, ჯანლუკა ძამბროტას და ალესანდრო ბირინდელის თამაშიც, ამიტომაც დაცვის ცენტრს ისევ ყოვლად დაბნეულ ნიკოლა ლეგროტალიეს ჩააბარებენ.

„მილანი“ კი კარგ ფორმაშია და მოთამაშეებიც კარგად ჰყავს, ოღონდ ერთია, დაცვის მარცხენა ფრთაზე კახა კალაძის ადგილს, ალბათ, ისევ ჯუზეპე პანკარო დაიჭერსო — ასეთი იყო იტალიელ მიმომხილველთა ვარაუდი გუშინდლამდე, გუშინ კი „გაძეტა დელო სპორტმა“ დაწერა, ანჩელოტი ჯუზეპე პანკაროს დაასვენებს და მის ადგილს ქართველი კალაძე დაიკავებსო.

და თუ ვინმესთვის ამ მატჩის შედეგი მნიშვნელოვანია, ეს „რომაა“, რომელიც მილანელებს ხუთი ქულით ჩამორჩება, „იუვეს“ ერთი ქულით უსწრებს და ხვალ რეჯო კალაბრიაში „რეჯინას“ ხვდება. როგორია პროგნოზი? გავიხსენოთ, რა მოხდა ერთი კვირის წინ: „რომამ“ შინ მიიღო „ინტერი“ და 4:1 გაანადგურა, ხოლო „რეჯინა“ ამ დროს აუტსაიდერ „ანკონას“ ეომა და 1:1-ს გამოჰკრა ხელი. თან ეს მაშინ, როდესაც ყოვლად საცოდავი „ანკონა“ ათი თამაშობდა თერთმეტის წინააღმდეგ — მაურიციო განცი გაუგდეს მოედნიდან.

სავარაუდოდ, „სტადიო გრანილოზე“ „რომას“ დაცვას დაუბრუნდება კრისტიან კივუ, რაც გუნდს კიდევ უფრო გააძლიერებს. რუმინელ მცველს ადგილს ფრანგი ვენსან კანდელა თუ დაუთმობს. გამოჯანმრთელდა ვინჩენცო მონტელაც, ასე რომ, შეიძლება ეს გამოცდილი ფორვარდი შეცვლაზე ვიხილოთ.

მეოთხე ადგილზე მყოფი „ლაციო“ „უდინეზეს“ მასპინძლობს, წინ, წესით, ძალიან კარგად უნდა იყოს დასვენებული, რადგან, ალბათ გახსოვთ, რომ წინა კვირას დედაქალაქელებს ბოლონიაში 20 სანტიმეტრიანი თოვლი დახვდათ და ერთი წვეთი ოფლის დაუღვრელად დაბრუნდნენ შინ.

ხოლო, ვინაიდან წინა კვირას მატჩი გაცდა, გამოდის, რომ ნახევარმცველ ფაბიო ლივერანის დისკვალიფიკაცია ძალაში რჩება. სამაგიეროდ, გამოჯანმრთელდა დემეტრიო ალბერტინი, რომელმაც წესით ლივერანის არყოფნა არ უნდა აგრძნობინოს თანაგუნდელებს. თავდასხმაში რობერტო მუცი, ალბათ, კლაუდიო ლოპესს შეცვლის.

# ინგლისი

ირაკლი გამყრელიძე

## მანჩესტერული დერბი და ახალი კაცი საუთჰემპტონში

| XXVIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ვულვზი | — | ასტონ ვილა |
| სიტი | — | მანჩესტერი |
| საუთჰემპტონი | — | ლივერპული |
| ტოტენჰემი | — | ნიუკასლი |
| **ხვალ** | | |
| ბირმინგემი | — | ლესტერი |
| ბლექბერნი | — | არსენალი |
| ბოლტონი | — | ჩელსი |
| ჩარლტონი | — | მიდლსბრო |
| ევერტონი | — | პორტსმუთი |
| ფულემი | — | ლიდსი |

| სადღეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 27 | 20 | 7 | 0 | 53:18 | 67 |
| ჩელსი | 27 | 18 | 4 | 5 | 48:21 | 58 |
| მანჩესტერი | 27 | 18 | 4 | 5 | 51:25 | 58 |
| ნიუკასლი | 27 | 10 | 12 | 5 | 38:28 | 42 |
| ბირმინგემი | 27 | 11 | 9 | 7 | 30:29 | 42 |
| ჩარლტონი | 27 | 11 | 7 | 9 | 38:34 | 40 |
| ლივერპული | 26 | 10 | 9 | 7 | 38:29 | 39 |
| ასტონ ვილა | 27 | 10 | 7 | 10 | 32:32 | 37 |
| ფულემი | 27 | 10 | 6 | 11 | 39:38 | 36 |
| ტოტენჰემი | 27 | 10 | 4 | 13 | 39:43 | 34 |
| მიდლსბრო | 27 | 9 | 7 | 11 | 29:34 | 34 |
| ბოლტონი | 27 | 8 | 10 | 9 | 32:42 | 34 |
| საუთჰემპტონი | 27 | 8 | 9 | 10 | 27:27 | 33 |
| ევერტონი | 27 | 7 | 8 | 12 | 33:39 | 29 |
| ბლექბერნი | 27 | 7 | 7 | 13 | 39:44 | 28 |
| სიტი | 27 | 6 | 9 | 12 | 36:39 | 27 |
| პორტსმუთი | 26 | 6 | 6 | 14 | 29:40 | 24 |
| ვულვზი | 27 | 5 | 9 | 13 | 24:52 | 24 |
| ლესტერი | 27 | 4 | 11 | 12 | 37:51 | 23 |
| ლიდსი | 27 | 5 | 7 | 15 | 26:53 | 22 |

**ამ ტურში** მანჩესტერული დერბია: „იუნაიტედი“ კვლავაც ცდილობს ჩემპიონობისთვის ბრძოლას, „სიტის“ კი ნოემბრის შემდეგ ერთადერთხელ მოუგია პრემიერლიგაში.

„პორტუსთან“ თამაშის წინ სერ ალექს ფერგიუსონს გულის უსისხლო ოპერაცია გაუკეთებია და ტახიკარდიის მომწესრიგებელი მცირე ხელსაწყოც ჩაუდგამს, თუმცა, რამდენად მოწესრიგებულია მისი გულისცემა ბოლო თვეს, ადვილი მისახვედრია. თავის მხრივ, კევინ კიგანი კვლავაც საბრძოლოდ აღანთებს უიღბლო „სიტის“. თუკი „არსენალი“ „ბლექბერნს“ დაამარცხებს ამ ტურში და „იუნაიტედი“ დერბის ვერ მოიგებს, მაშინ ორთა შორის განსხვავება 12 ქულა შეიქნება. თუ პირიქით მოხდება, ყველას გაახსენდება, რომ 28 მარტს „იუნაიტედი“ „ჰაიბერის“ უნდა ესტუმროს და იქ უნდა იბრძოლოს ქულათა სხვაობის შესამცირებლად.

შარშან, „სიტიმ“ შინ დაამარცხა „იუნაიტედი“ და იმ თამაშის მოგონება ჯერაც არ გახუნებულა. ახლა კი კვირას მოთამაშე მანკუნიანებს უკვე ეცოდინებათ, როგორ გაისარჯნენ „მეთოფენი“ ბლექბერნში შაბათს.

დერბიში „იუნაიტედს“ შერჩენილი ფეხბურთელებიდან არ ეყოლება დასჯილი გარი ნევილი და ტრავმირებულები, მიკაელ სილვესტრი და კვინტონ ფორჩუნი. „პორტუსთან“ დაშავდნენ ერიკ ჯემბა-ჯემბა და კრისტიანო რონალდო. „სიტის“ ტრავმირებული არავინ ჰყავს, ორთვენახევრიანი შესვენების შემდეგ კი განაცხადში იქნება პაულო ვანჩოპე.

„არსენალმა“ „ვუდ პარკზე“ ეგებ გამოიყვანოს მარტინ კიოუნი და ჟილბერტო სილვა, ხოსე ანტონიო რეიესი კი იქნებ სასტარტოში მოხვდეს. „ბლექბენს“ დაშავებული ჰყავს თავისი ვარსკვლავბიჭუნა ჯონათან სტიდი, თუმცა ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ „არსენალმა“ თავისი ბოლო სალიგო თამაში სწორედ ბლექბერნში წააგო შარშან ამ დროს.

შაბათსვე „ბოლტონი“ მასპინძლობს „ჩელსის“ და სემ ალარდაისს სურს დაასვენოს გადაღლილი ჯეი-ჯეი ოკოჩა, ლონდონელთა სასტარტოში კი ადრიან მუტუ იქნება. „ჩელსი“ უკეთესი ბურთებით უსწრებს „მანჩესტერ იუნაიტედს“. ლიგაში დარჩენისთვის მებრძოლი ნაციხარი „ლესტერი“ მიდლენდურ დერბიში სტუმრობს „ბირმინგემს“, თუმცა, ციხიდან გამოშვებული სამი ჯეელი — დიკოვი, სინკლერი და გილესპი არ ეყოლება.

ბოლო რვა თამაშიდან 5 მოიგო უხვგოლიანმა „ტოტენჰემმა“ და რომელიმე ევროპული საგზურის იმედიც უჭიატებს. მისი სტუმარი „ნიუკასლი“ კი საერთოდაც ჩემპიონთა ლიგას უმიზნებს. საეჭვოა, „მალიორკასთან“ დაშავებული კირონ დაიერის თამაში.

„ფულემის“ მწვრთნელი კრის კოულმენი მომჯობინდა და გუნდს „ლიდსის“ წინააღმდეგ მოძღვრავს. „ლიდსმა“ ბოლო 3 თამაშში 5 ქულა აიღო, პირველ წრეში „ფულემი“ დამარცხებული ჰყავს. იორკშირელები ერიკ ბაკეს ვერ ათამაშებენ, თუმცა ალან სმიტის იმედი კი აქვთ.

საუთჰემპტონში „ლივერპულის“ წინააღმდეგ დებიუტი აქვს ახალ მენეჯერ პოლ სტაროკს, „ლივერპულმა“ კი ბოლო 5 ტურში 4 ფრე გააკეთა და ამას უეფას თასზე საშინაო ფრეც დაუმატა. სტუმრებს არ ეყოლებათ ენტონი ლე ტალეკი და ვლადიმირ შმიცერი.



ალექს ფერგიუსონს გულის გასაკეთებლად, „სიტისთან“ დერბიში უცილობელი მოგება უნდა

## გერმანია

*ვაჟა ხუციშვილი*



# ჰიცფელდმა დასასრული გადადო

„ბაიერნი“ და „შტუტგარტი“ ჩემპიონთა ლიგას დაემშვიდობნენ და ახლა ევროთასებზე გერმანული გუნდი აღარ დარჩა. ეს ნიშნავს, რომ ბუნდესლიგის მოსაგებად ბრძოლა უფრო გამწვავდება. „ვერდერის“ მღევრებმა ევროპა მხრებიდან „ჩამოიბერტყეს“ და შინაურ ფრონტზე მობილიზაციას აპირებენ. „ჯერ არაფერი დასრულებულა — თქვა ოტმარ ჰიცფელდმა — ვიბრძოლებთ ბოლომდე, სანამ იოტისოდენი შანსი გვექნება“.

დღეს „ოლიმპიაშტადიონზე“ წამოჩიტულ როსტოკის „ჰანზას“ ნახავენ. როსტოკელები პირველ წრეში ცხრილის ძირში ბრძანდებოდნენ, მაგრამ ზამთრის შესვენების შემდეგ თამაშის ხარისხი გააუმჯობეს და უკვე უეფას თასზე მოხვედრას ლამობენ.

„ბაიერნს“ ორი ფეხბურთელი ჰყავს ტრავმირებული: ლიზარაზუ და ჰარგრივსი, „ჰანზა“ კი მიუნხენს ძირითადი შემადგენლობით ესტუმრება.

„ლევერკუზენს“ მესამე თვეა, თამაში არ მოუგია. კლაუს აუგენტალერის გუნდს „ვოლფსბურგთანაც“ იოლი გასეირნება არ ელის, რადგან „მგლები“ უეფას თასზე გამსვლელი ადგილისთვის იბრძვიან. შესაძლოა, რომ „ფარმაცევტებს“ დღეს ტრავმამოშუშებული იენს ნოვოტნი და ლუსიო დაუბრუნდნენ, „ვოლფსბურგი“ კი ტრავმებს არ უჩივის.

„ჰანოვერმა“ ამ კვირაში მწვრთნელი გამოიცვალა. კლუბის პრეზიდენტმა რალფ რანგნიკი დაითხოვა და გუნდი ევალდ ლინენს ჩააბარა, რომელსაც გამოცდას „კაიზერსლაუტერნი“ მოუწყობს. მეტოქეები ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებას ცდილობენ და თითოეული ქულა მათთვის ძვირფასია.

„კაიზერსლაუტერნს“ ორი ნახევარმცველი — ლინკოლნი და ჩირიაკო სფორცა დააკლდება.

წინა ტურში „ჰანზასგან“ შერცხვენილი „ჰამბურგი“ ნამუსის მოწმენდას ბერლინის „ჰერტას“ ძლევით აპირებს. მასპინძლებს სასჯელმოხდილი ბარბარესი დაუბრუნდათ, მაგრამ კვლავ ავადაა მთავარი მეკარე მარტინ პიკენჰაგენი.

ასევე ძირითადი მეკარე, გაბორ კირალი არ ეყოლება „ჰერტას“. მცველ მიხაელ ჰარტმანი და ნახევარმცველი ბარტ გოორიც დაშავებულნი არიან არ უნდა გაუჭირდეს, რადგან ბრემენელთა მეტოქე ცალი ფეხით პირველ ბუნდესლიგაშია. „კიოლნი“ ორ ფორვარდს, მარიუს ებერსს და ანდრეი ვორონინს მოისაკლისებს.

დისკვალიფიკაციამოხდილი ლევან ცქიტიშვილი „ფრაიბურგს“ დორტმუნდელებთან ჭიდილში დაეხმარება. მათიას ზამერს ხელმოტეხილი ტომაშ როსიცკი და დასჯილი კრისტიან ვიორნსი არ ეყოლება.

ფრანკფურტის „აინტრახტს“ „შალკესთვის“ შინ 1991 წლის შემდეგ არ მოუგია. გელზენკირხენელები აშკარად კარგ ფორმაში არიან და მაჩანჩალა მასპინძელთა გამარჯვებას გეგმავენ. „შალკეს“ ლაზარეთში ჰყავს ლევან კობიაშვილი, მეკარე ფრანკ როსტი, ანიბალ მატელანი და გუსტავო ვარელა.

გალაღებულ „ბოხუმს“ დღეს მიონჩენ-გლადბახის „ბორუსიას“ ძლევა სურს და მასპინძლების ყველა ფეხბურთელი ჯანზეა. ცხრა წელია, გლადბახელებს ბოხუმიდან სამი ქულა არ წაუღიათ.

| XXIV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ლევერკუზენი | — | ვოლფსბურგი |
| ჰანოვერი | — | ლაუტერნი |
| ჰამბურგი | — | ჰერტა |
| ბაიერნი | — | ჰანზა |
| ვერდერი | — | კიოლნი |
| ფრაიბურგი | — | დორტმუნდი |
| აინტრახტი | — | შალკე |
| **ხვალ** | | |
| ბოხუმი | — | გლადბახი |
| შტუტგარტი | — | მიუნხენი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვერდერი | 23 | 17 | 4 | 2 | 56:21 | 55 |
| ბაიერნი | 23 | 14 | 6 | 3 | 50:23 | 48 |
| შტუტგარტი | 23 | 12 | 7 | 4 | 29:10 | 43 |
| ბოხუმი | 23 | 10 | 8 | 5 | 37:25 | 38 |
| ლევერკუზენი | 23 | 10 | 6 | 7 | 40:31 | 36 |
| შალკე | 23 | 9 | 9 | 5 | 29:23 | 36 |
| დორტმუნდი | 23 | 10 | 4 | 9 | 36:32 | 34 |
| ვოლფსბურგი | 23 | 10 | 1 | 12 | 42:42 | 31 |
| ჰანზა | 23 | 8 | 6 | 9 | 35:32 | 30 |
| ჰამბურგი | 23 | 8 | 6 | 9 | 31:38 | 30 |
| ფრაიბურგი | 23 | 8 | 4 | 11 | 31:49 | 28 |
| მიუნხენი | 23 | 7 | 5 | 11 | 24:35 | 26 |
| ლაუტერნი | 23 | 8 | 3 | 12 | 24:35 | 24 |
| გლადბახი | 23 | 6 | 6 | 11 | 24:33 | 24 |
| ჰანოვერი | 23 | 6 | 6 | 11 | 38:51 | 24 |
| აინტრახტი | 23 | 6 | 5 | 12 | 25:34 | 23 |
| ჰერტა | 23 | 5 | 8 | 10 | 24:43 | 23 |
| კიოლნი | 23 | 4 | 4 | 15 | 17:35 | 16 |

„კაიზერსლაუტერნს“ ჩამოჭრილი აქვს 3 ქულა

## ესპანეთი

*ლადო ხომერიკი*

| XXVIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| რეალი | — | სარაგოსა |
| სოსიედადი | — | ატლეტიკო |
| **ხვალ** | | |
| ბეტისი | — | ოსასუნა |
| სელტა | — | ვალენსია |
| ესპანიოლი | — | რასინგი |
| ვალიადოლიდი | — | სევილია |
| მალიორკა | — | დეპორტივო |
| ვილიარეალი | — | ალბასეტე |
| მურსია | — | ბარსელონა |
| მალაგა | — | ბილბაო |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 27 | 18 | 6 | 3 | 54:29 | 60 |
| ვალენსია | 27 | 16 | 6 | 5 | 50:20 | 54 |
| დეპორტივო | 27 | 15 | 5 | 7 | 43:23 | 50 |
| ბარსელონა | 27 | 14 | 7 | 6 | 45:32 | 49 |
| ბილბაო | 27 | 11 | 8 | 8 | 34:33 | 41 |
| ატლეტიკო | 27 | 11 | 8 | 8 | 33:32 | 41 |
| ოსასუნა | 27 | 9 | 12 | 6 | 27:23 | 39 |
| სევილია | 27 | 10 | 8 | 9 | 38:28 | 38 |
| ბეტისი | 27 | 9 | 10 | 8 | 34:29 | 37 |
| ვილიარეალი | 27 | 10 | 6 | 11 | 36:37 | 36 |
| მალაგა | 27 | 11 | 2 | 14 | 36:41 | 35 |
| რასინგი | 27 | 9 | 7 | 11 | 34:40 | 34 |
| ვალიადოლიდი | 27 | 8 | 8 | 11 | 33:39 | 32 |
| სოსიედადი | 27 | 8 | 8 | 11 | 31:38 | 32 |
| სარაგოსა | 27 | 9 | 5 | 13 | 30:37 | 32 |
| ალბასეტე | 27 | 9 | 5 | 13 | 26:34 | 32 |
| მალიორკა | 27 | 8 | 5 | 14 | 31:47 | 29 |
| სელტა | 27 | 6 | 9 | 12 | 36:51 | 27 |
| ესპანიოლი | 27 | 8 | 2 | 17 | 31:49 | 26 |
| მურსია | 27 | 2 | 11 | 14 | 23:43 | 17 |

# თურქული რაფაელო

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია მადრიდულ ტერაქტს გულმტკიცედ შეხვდა და ჩემპიონატის შეხვედრების გადადებას არ აპირებს. პრიმერადივიზიონის 28-ე ტური აუცილებლად ჩატარდება, ოღონდ შესაბამისი სამგლოვიარო ცერემონიის თანხლებით — თამაშების დაწყებამდე ფეხბურთელები წუთიერი დუმილით მიაგებენ პატივს დაღუპულთა ხსოვნას და შავი სამკლავურებიც ეკეთებათ.

მთავარი შერკინება კი კვირასაა — ჩემპიონთა ლიგიდან ახლახან გაძევებული „სელტა“ უეფას თასის მერვედფინალის პირველ მატჩში თურქულ „გენჩლერთან“ დამარცხებულ „ვალენსიას“ უმასპინძლებს.

რადომირ ანტიჩის გუნდის დღევანდელი საპრიმერო მდგომარეობა მეტად სავალალოა — ვიგოურმა არმადამ, მიუხედავად შთამბეჭდავი ევროპული ავანტიურებისა, შინაურ პირველობაზე ვერაფრით გამოჩინა თავი და იძულებულია, 27 უსახური ქულით სეგუნდაში გასავარდნ სამეულს „უთავკაცოს“. ბოლო საესპანეთო თამაში „სელტამ“ ასევე „ბალაიდოსზე“ კატალონიურ „ესპანიოლთან“ ჩაატარა, მაგრამ გამხეცებულ გალისიელ ინჩასთა თვალწინ სამარცხვინოდ დამარცხდა — 1:5.

სერბ ანტიჩის განსაკუთრებით თავისი მოთამაშეების ტრავმები აწუხებს — ისედაც მძიმე დღეში მყოფ კლუბს ფრანგი ლუქსენი, ბრაზილიენლი სილვინიო, სებასტიან მენდესი და ბორხა ოუბინია გამოაკლდნენ. მართალია, ამ ორი უკანასკნელის თამაში ბენიტესის მოწაფეებთან სხვებზე მეტად სავარაუდოა (ორივეს მუხლი მცირედ დაუშავებიათ, მაგრამ „სელტას“ ლაზარეთში სხვებიც ჰყავს: „არსენალთან“ ფეხნატკენი მაურისიო პინილია, ევერტონ ჯოვანელა და ხუანფრან გარსია, რომლებიც ჯერ ვერ გამოჯამრთელებულან. ერთი სიტყვით, „ბალაიდოსის“ დამაშვრალ ინჩასობას დიდი ნერვთაგლეჯა ელოდება...



ფრანკ რაიკარდი

„ვალენსია“ კი გალისიურ მასპინძლობას შეამოწმებს. ძირითადი ბირთვი მწყობრშია. წინა თამაშში უშუალო მეტოქე „დეპორტივოს“ პირწმინდად — 3:0 მოუგო და ევროპაშიც ასე თუ ისე, საკმაოდ კარგად აქვს საქმე („გენჩლერი“ არ გახლავთ ის გუნდი, „ვალენსიას“ უევადან გამოთიშვას რომ შეძლებს“ — უთხრა ამ ორი დღის წინ რაფა ბენეტესმა „მარკას“ ჟურნალისტსძ. და თუკი პრიმერაში შეფერთხილ „სელტასაც“ სძლევენ, კარლუშ კეიროუშის „რრეალს“ უფრო მეტი ექნება საფიქრალი საამსეზონო ჩემპიონობის მოსაპოვებლად — „მესტალიას“ გუნდი მადრიდის „რეალს“ 6 სახიფათო ქულით ჩამორჩება.

ტერორისტთა მიერ აკლებული მადრიდის ორივე საპრიმერო კლუბი დღეს თამაშობს — „რეალი“ „სარაგოსას“ მიიღებს, ხოლო „ატლეტიკო“ „სოსიედადს“ სან სებასტიანში „ანოეტაზე“ ესტუმრება.

„სამეფო კლუბს“ „სარაგოსასთან“ დროის მცირე მონაკვეთში ორჯერ (ჯერ ჩემპიონატში და მერე კოპა დელ რეის ფინალაში უწევს შეხვედრა. შაბათს „ბერნაბეუ“ რაულს ოდენ სათადარიგოთა სკამზე იხილავს, რადგანაც „თეთრების“ კაპიტანს „ბაიერნთან“ საჩემპიონთალიგო დუელისას ძლივს მორჩენილი მუხლი კვლავ გაუმიზეზდა.

გრეგორიო მანსანოს „ატლეტიკოს“ ტრავმირებულები არ ჰყავს და კრიზისში მყოფი „სოსიედადისთვის“ განვლილ შაბათ-კვირას მაჩანჩალა „მურსიასთან“ დაკარგული ქულების ართმევას შეეცდება („კალდერონის“ ხალხმა აუტსაიდერს საკუთარ არენაზე მაშინ 1:1 აჩუქაძ.

სწორედ მურსიის რეგიონს მოინახულებს საამსეზონო რეკორდსმენი ფრანკ რაიკარდის „ბარსელონა“. კატალონიელებმა ჩემპიონატის მეორე წრეში მიჯრით მოიგეს 7 თამაში, რაც 2003-04-ის პრიმერაშიც და სეგუნდაშიც სხვა კლუბებისთვის ჯერჯერობით აუღებელი ბარიერია.

„ლა კონდომინაზე“ მხოლოდ გამარჯვებისთვის ჩავალთ. ფეხბურთელები ჯანმრთელად არიან და, ჩემი აზრით, მერვე გამარჯვება არ უნდა გაგვიჭირდეს“ — თქვა რაიკარდმა.

# მე თქვენ გამღერებთ მარსელში

## ულიეს მარანში სტუმრებმა მოილხინეს



ხავიერ სავიოლა მეორე ბარსელონელი იყო, რომელიც გააძევეს

**„სელტიკ პარკზე"**, შესვენებისას, გასახდელისკენ მიმავალ გვირაბში ჩხუბი ატყდა. ტიაგო მოტა და გლაზგოელთა მეკარე რობერტ დუგლასი ხელდახელ შეიბნენ. ჯერ კიდევ უცნობია, თუ რატომ იბობოქრა სტუმარ-მასპინძელმა. მოედანზე არ წაკინკლავებულან და ძველი წყენაც ერთმანეთში არ ჰქონიათ. თუ ასეა, გვირაბში რაღა ეშმაკები მოელანდათ?

გერმანელმა მსაჯმა მტყუან-მართალის გარჩევა არ დაიწყო და მოჩხუბრები წითელი ბარათით შეამკო.

„სელტიკის" ფანები გაოცდნენ, როცა მეორე ტაიმში დუგლასის ნაცვლად კარში 19 წლის დევიდ მარშალი ნახეს. ყმაწვილკაცს ასეთი დონის მატჩი კი არა, ძირითად შემადგენლობაში 100 წუთიც არ უთამაშია.

შესვენების შემდეგ „ბარსელონას" კიდევ ერთი ფეხბურთელი დააკლდა. ხავიერ სავიოლამ ტომპსონს უხეშობაზე უხეშობით უპასუხა და ვოლფგან შტარკმა არგენტინელი გააძევა.

რვა კაცით „სელტიკის" წინააღმდეგ თამაში აბა, რა სახარბიელო საქმეა. სტუმრები „თეთრ-მწვანეთა" იერიშებს შეხვედრის ბოლომდე იგერიებდნენ და მხოლოდ ერთი გოლი გაუშვეს. ჰენრიკ ლარსონის თავით დაგდებულ ბურთს ტომპსონმა ლაზათიანად დაჰკრა და ექსვსიოდ მეტრიდან გაიტანა.

ფრანკ რაიკარდი მსაჯებზე ნაწყენი იყო და ნამატჩევს თქვა: „ტიაგო მოტა სრულიად უსაფუძვლოდ გააგდეს. ჩხუბი დუგლასმა წამოიწყო და მოტამაც თავი დაიცვა. არ ვიცი, მსაჯმა ვერ დაინახა თუ არ უნდოდა დანახვა. იგივე მოხდა სავიოლას შემთხვევაში. შტარკმა პენალტი არ მოგვცა და სავიოლაც ტყუილუბრალოდ გააგდო. მიუხედავად ამისა, ბიჭების გარჯით ძალიან კმაყოფილი ვარ. მათ ლომებივით იბრძოლეს და „სელტიკის" დონის გუნდთან რვა კაცით მხოლოდ 0:1 წაგება გმირობის ტოლფასია. საწყენია, რომ შესვენებამდე ორი კარგი მომენტი ვერ გამოვიყენეთ, თუმც არა უშავს, გამარჯვებული ესპანეთში გაირკვევა".

მარტინ ონილი: „მეტი გოლის გატანა გვმართებდა, რადგან ამ ანგარიშის შენარჩუნება „კამპ ნოუზე" ძალიან გაგვიჭირდება. ჩვენს მეტოქეს უმაღლესი კლასის ფეხბურთელები ჰყავს, რომლებმაც პირველ ტაიმში რამდენჯერმე, ერთ შეხებაში თამაშის გაკვეთილი ჩაგვიტარეს. ნამდვილად კარგი მატჩი იყო და უკეთესი იქნებოდა მსაჯს მოთამაშეთა რაოდენობა რომ არ შეემცირებინა. სამმა გაძევებამ შეხვედრის ხარისხზე უარყოფითად იმოქმედა. ჩხუბის შესახებ ბიჭებს ვკითხე და მითხრეს, ჩვენ არ დაგვიწყიაო. მოგვიანებით მომხდარის მიზეზს უფრო დაწვრილებით გავარკვევ".

ჟერარ ულიეს ცხოვრება ისევ აეწეწა, რადგან „ლივერპულმა" ვერ მოიგო. „ენფილდ როუდზე" პირველი ტაიმი მოსაწყენი გამოდგა. მეტოქეები უკბილოდ უტევდნენ და მეკარეები უსაქმოდ იყვნენ. მეორე ნახევარი გაცილებით საინტერესო იყო. თამაში მას შემდეგ გაიხსნა, როცა მასპინძლები დაწინაურდნენ. სტივენ ჯერარდმა ოუენისგან ბურთი მიიღო, მცველი და მეკარე ბარტეზი გაიტყუა და ეულად დარჩენილ მილან ბაროშს მიაწოდა, რომელმაც ანგარიში გახსნა.

„მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილი მეკარე — ფაბიერ ბარტეზი ბურთთან ყოველი შეხებისას ლივერპულელი ფანებისგან სტვენის გვარიან დოზას იღებდა.

დამხვდურებმა ანგარიშის შენარჩუნებაზე ზრუნვა დაიწყეს. „მარსელმა" მოედნის ცენტრი დაიპყრო და მეტოქის მცველებს გამუდმებული მაღალი ჩაწოდებებით აწუხებდა. სტუმართა დაჟინებამ შედეგი მალე მოიტანა. კამელ მერიემის პასით დიდიე დროგბამ იხეირა.

ნამატჩევს „მარსელის" გასახდელიდან სიმღერის ხმა ისმოდა — ფრანგულმა გუნდმა მოილხინა.

„მათ ჰგონიათ, რომ მეოთხედფინალი გაინაღდეს და ზეიმობენ, მაგრამ ჯერ ადრეა. ვიმედოვნებ, საპასუხო შეხვედრის შემდეგ ჩვენი სიმღერის ხმას გაიგონებენ" — თქვა ჟერარ ულიემ.

„გვემღერება და ვმღერით, ცრემლზე უკაცრავად. ირონიულად დასძინა „მარსელის" მწვრთნელმა ჟოზე ანიგომ — ჩემპიონატში „ბასტიასთან" 1:4 წაგების შემდეგ ლივერპულში ფრე ბრწყინვალე შედეგია".

თუკი ვინმეს სატირლად აქვს საქმე, ეს მილანის „ინტერია". „შავლურჯთა" მწვრთნელ ალბერტო ძაკერონის ლისაბონში მთელი მატჩის განმავლობაში სახეზე საკლუბო ფერები ემჩნეოდა.

მასპინძლები ძალიან მონდომებულად უტევდნენ და ფრანჩესკო ტოლდოს რომ არ ეყოჩაღა, „ინტერი" მორიგ მარცხს მიითვლიდა. ტოლდომ შორი და საშუალო მანძილიდან დარტყმული არაერთი ბურთი მოიგერია, პირველ ტაიმში კი მასთან გასულ არმანდუ სას აჯობა.

„ორი, სამი, ოთხი და მეტის გატანა შეგვეძლო. ცხადია, უკმაყოფილო ვარ" — განაცხადა ხოსე ანტონიო კამაჩოს თანაშემწემ.

„გენჩლერბირლიგი" ვერ გაძლა „ბლექბერნის", „სპორტინგის" და „პარმას" ძლევით და კოლექციის შევსებას ესპანური კლუბით აპირებს.

რაფაელ ბენიტესმა ანკარაში საფუძვლიანად შეცვლილი შემადგენლობა ჩაიყვანა და მინიმალურად დამარცხება „ვალენსიას" მწვრთნელს ალბათ ძალიან არ დაამწუხრებდა.

გოლი შეხვედრის დასაწყისში გავიდა. პენალტი აიალასგან ფილიპ დაემსის წაქცევას მოჰყვა. თერთმეტმეტრიანი თავად დაემსმა გამოიყენა. შესვენებამდე სტუმრებმა შეტევაში ვერაფერი გაწყვეს, სამაგიეროდ, მეორე ტაიმში დაეძგერნენ დამხვდურებს, თუმც ამაოდ.

„ნიუკასლის" ქომაგებმა ცოტა ხანს ინერვიულეს, როცა „მალიორკა" დაწინაურდა. კამპანომ და ეტოომ კედელი გაითამაშეს, კამერუნელმა დაარტყა, ბურთი ძელიდან დაბრუნდა და დასწრებაზე კორეამ იყოჩაღა.

„ნიუკასლი" გაავთრებული ეძგერა მეტოქეს და მალე გაათანაბრა — ალან შირერმა ბელამს დაუგდო ბურთი და უელსელმა ლეო ფრანკოს გაუტანა. შემდეგ თვით კაპიტანმა იხეირა და თავით ახლო ძელთან შეაგდო. მომდევნო ორ გოლში წვლილი როლან რობერს მიუძღვის. ერთი ლამაზი საჯარიმო შეასრულა, მერე კი პასი ტიტუს ბრამბლის გაუჩარხა.

„მეტოქის გოლმა ოდნავ დაგვაბნია, მაგრამ სწრაფად მოვედით გონს და გუნდი შესანიშნავად ათამაშდა. სამბურთიანი სხვაობით მოვიგეთ, თუმც ეს საპასუხო შეხვედრის წინ დამშვიდების საფუძველს არ გვაძლევს" — თქვა ბობი რობსონმა.

„ბორდომ" „ნიუკასლივით" შემოაბრუნა მატჩი, მას შემდეგ, რაც ულრიხ რამეს შეცდომის გამო „ბრიუგე" ვერჰეინის წყალობით დაწინაურდა. მასპინძელთა მეკარემ ახლო კუთხეში გაუშვა.

მასპინძლებმა უმალ გაათანაბრეს. ალბერტ სელადესმა მცველები თამაშგარე მდგომარეობის შექმნისას გამოიჭირა, ვერლინდენსაც გასცდა და გაიტანა. მოგვიანებით ესპანელმა საამო გოლი შეაგდო, „ბრიუგეს" მეკარეს და მცველს ერთიმეორის მიყოლებით ბურთი თავს ზევით გადაავლო და ზუსტად დაჰკრა. ბოლოს სელადესის სეხნიამ და ასევე ესპანელმა რიერამ პირისპირ გასვლა გამოიყენა.

„ვილიარეალმა" პირველი ტაიმის ექვს წუთში მოაგვარა საქმე. ჯერ სონი ანდერსონმა იხეირა, შემდეგ კი ხოსე მარიმ თავით გაიტანა. მეორე ტაიმში ფაბიო კაპელომ ანტონიო კასანოთი გუნდის შეტევების გაძლიერება სცადა, მაგრამ კასანომ ვერ ითამაშა ისე კარგად, როგორც სერია A-ს გასულ ტურში „ინტერთან".

**მაჟა ხუციშვილი**

## უეფას თასი

UEFA CUP 1/8 ფინალი. პირველი მატჩები. გუშინ UEFA CUP

### ბორდო (საფრანგეთი) 3:1 ბრიუგე (ბელგია)

0:1 ვერჰეინი (58), 1:1, 2:1 სელადესი (59, 71), 3:1 რიერა (87)
ბორდო: რამე, ჟემალი (ბასტო 46), კანეირო, პლანუსი, ჟურიეტი, სელადესი, ედუარდო კოშტა, ზობა-მავუბა, რიერა, შამახი, ფეუნდუნო
მწვრთნელი: მიშელ პავონი
ბრიუგე: ვერლინდენი, ვან დერ ჰიდენი, როზენალი, გვოზდენოვიჩი, სიმონსი, კლემანი, ბ. მარტენსი, ნ. ჩეპი (სმოლდერსი 83), ვერჰეინი, მენდოსა (შატერნსი 83), ლანგე (სიმოეში 73)
მწვრთნელი: ტრონდ სოლიედი
გაფრთხილება: გვოზდენოვიჩი (32)
მსაჯი: სტივ ბენეტი (ინგლისი)
13 500 მაყურებელი

### გენჩლერბირლიგი (თურქეთი) 1:0 ვალენსია (ესპანეთი)

1:0 დაემსი (123)
გენჩლერბირლიგი: ბოტონჯიჩი, დაემსი, ელ საკა, ერკანი, ოზქანი, იულა (ვეისელი 90), ბოზკურტი, სკოკო, თანდოგანი, ბარისი, სერქანი (მბაიო 79)
მწვრთნელი: ერსუნ იანალი
ვალენსია: პალოპი, გარიდო, რ. აიალა, კარბონი, დ. ნავარო, ხისკო, ალბელდა, ხუან სანჩესი (ვისენტე 80), სისოკო, ანგულო (რუფეტე 77), ოლივეირა (კანობიო 55)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: ბარისი (69), იულა (90), კარბონი (90)
მსაჯი: ტომ-ჰენინგ ოვრებო (ნორვეგია)
25 000 მაყურებელი

### ოსერი (საფრანგეთი) 1:1 პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია)

1:0 ტაინიო (36), 1:1 ლუსიუსი (71)
ოსერი: კული, ჟაურე, მინო, გრიხტინგი, დიუმბე, ვიოლო, ლაშუერი, ტაინიო (სირიექსი 85), კალუ, ჯ. სისე, აკალე (ა. გონსალესი 82)
მწვრთნელი: გი რუ
პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, კოლინი, ჰოფლანდი, ბუმა, ი. ლი, ლუსიუსი, ვან დერ შააფი (ე. ადო 85), ვან ბომელი, ჯ. დე იონგი, რობენი (პარკი 35), კეჟმანი
მწვრთნელი: გუს ჰიდინკი
გაფრთხილება: ვან ბომელი (20), კოლინი (56)
მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)
18 000 მაყურებელი

### ნიუკასლი (ინგლისი) 4:1 მალიორკა (ესპანეთი)

0:1 კორეა (58), 1:1 ბელამი (67), 2:1 შირერი (71), 3:1 რობერი (74), 4:1 ბრამბლი (84)
ნიუკასლი: გივენი, ა. ჰიუზი, ბრამბლი, ობრაიენი, ბერნარი, დაიერი (ამბროზი 87), ჯენასი, სპიდი, რობერი, შირერი, ბელამი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
მალიორკა: ლეო ფრანკო, ფ. ნინიო, კამპანო, ნაგორე, ედუ მოია, კორტესი, კოლსა (მარკოსი 65), ლუსენჰოფი, ნენე, ეტოო, კორეა (ფინიდი 65)
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
გაფრთხილება: ედუ მოია (35, 83), კორეა (35), კამპანო (45), კორტესი (59), ლუსენჰოფი (62), კოლსა (65), დაიერი (69), ნაგორე (75)
გაძევება: ედუ მოია (83)
მსაჯი: ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)
38 012 მაყურებელი

### ბენფიკა (პორტუგალია) 0:0 ინტერი (იტალია)

ბენფიკა: ჟ. მორეირა, მ. მონტეირუ, ლუიზაუ, რიკარდუ როჩა, არმანდუ სა (როლანდი 70), ტ. მენდეში, ა. პეტი, ზაჰოვიჩი (მ. ფერნანდეში 80), ჯოვანი (ჟოაუ პერეირა 62), სიმაო, შოკოტა
მწვრთნელი: ხოსე ანტონიო კამაჩო
ინტერი: ტოლდო, ი. კორდობა, ადანი, კანავარო, ჰელვეგი, კ. ძანეტი, ფარინოსი (ოკანი 46), ხ. ძანეტი, კარაგუნისი, რეკობა (ხ. კრუზი 57), ო. მარტინსი
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
| 5145 | რეჯინა-რომა | 7,5 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,4 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,4 |
| 5146 | სიენა-ანკონა | 1,4 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 12,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5147 | იუვენტუსი-მილანი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 5148 | რეალი-სარაგოსა | 1,5 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,6 | 17,0 | 25,0 | 17,0 | 17,0 |
| 5150 | სოსიედადი-ატლეტიკო | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5151 | ვილიარეალი-ალბასეტე | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5152 | ბეტისი-ოსასუნა | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5153 | მალიორკა-დეპორტივო | 4,4 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 5154 | ესპანიოლი-რასინგი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 5155 | მალაგა-ბილბაო | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 5156 | ვალიადოლიდი-სევილია | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 5157 | მურსია-ბარსელონა | 7,0 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,4 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,2 |
| 5158 | სელტა-ვალენსია | 5,0 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,4 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,2 |

*უკვე სამი წელია, რაც მიხეილ სუჯაშვილი კიდევ ერთ ქართველ ლეგიონერ რატი ურუშაძესთან ერთად, კრასნოიარსკის „ენისეი-სიბტიაჟმაშში" თამაშობს, არდადეგების დროს კი თბილისში „ლოკომოტივის" ღირსებას იცავს. ბოლო ხანს მას მცირე ტრავმები აწუხებდა, მაგრამ მოირჩინა და ეროვნულ ნაკრებშიც დებიუტიც ჰქონია. მსოფლიოს თასის შემდეგ სრულიად განახლებულ პირველ ხაზში მან რუსეთთან მარჯვენა ბურჯად ითამაშა. სხვათა შორის, ამ ადგილზე თამაშობდა ლეონსიო, რომელიც ასე დააკლდა ბორჯღალოსნებს ავსტრალიაში*

# იდეალური რუსული პირობები ქართულ შინთან მარცხდება


ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნაკრებში პირველად პორტუგალიასთან ვითამაშე და ძალიან მინდოდა, რომ მოგვეგო, თუმცა ჩემი დებიუტი მარცხიანი გამოდგა.

**— რაში შეცდით?**

— ალბათ შეუთამაშებლები ვიყავით... ახალშეკრებილ გუნდს მეტი პასუხისმგებლობა მართებდა. ფაქტობრივად მოგებული მატჩი დავთმეთ.

**— პირველ ხაზს მაგრად გაწვებოდნენ?**

— მე ბოლო 15 წუთი ვითამაშე, თუმცა ფიზიკურად ულაპარაკოდ ვჯობდით.

**— რუსებზე იგივეს იტყოდი?**

— ალბათ რუსებს უფრო ხასიათით და ჟინით ვაჯობეთ, რადგან მათთან ყოველთვის მეტი მონდომებით ვთამაშობთ. რაც შეეხება რუსების ფიზიკურ მხარეს, ისინი უდავოდ ძლიერები და ნავარჯიშები არიან.

**— რუსეთში თამაშობ და მათზე ბევრი იცი. ჩვენი ვარჯიშები რით განსხვავდება რუსების ვარჯიშებისგან?**

— ფიზიკური დატვირთვები იქ საგრძნობლად დიდია. შეიძლება ითქვას, მეტისმეტია. ვიწყებთ მოთელვით და მთელი ვარჯიში მძლეოსნებივით დავრბივართ. ორი საათის განმავლობაში აბა, კარგი ბიჭია და ვინმე გაჩერდეს. უმალვე მწვრთნელისგან შენიშვნას მიიღებს და გუნდიც ვალდებული იქნება, თავიდან დაიწყოს ყველაფერი. და ასე იქამდე, სადამდეც იუველირულად არ გამოუვა ყველას თამაში.

**— კრასნოიარსკის „ენისეის" მწვრთნელი ალექსანდრ პერვუხინი ასევე ნაკრების თავკაციცაა. თუ ესაუბრე თამაშის შემდეგ?**

— პერვუხინმა მომილოცა გამარჯვება, მეტი დროც არ ჰქონია სასაუბროდ, თანაც ნამდვილად არ იყო კარგ ხასიათზე. მოგების დიდი სურვილით ჩამოვიდნენ და, როგორც ყოველთვის ხდება, წააგეს.

**— შენი გუნდი „ენისეი" ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერია. როგორი პირობები გაქვთ?**

— მოთამაშეებს ყოველგვარ პირობას გვიქმნიან. ერთადერთი, რასაც კლუბის ხელმძღვანელობა ითხოვს, კარგად ვითამაშოთ და ვარჯიშს პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ. დანარჩენი მათზეა. გვაქვს საცურაო აუზი, სავარჯიშო დარბაზი, კარგი მოედანი, გუნდს ავტობუსი ემსახურება და, რაც მთავარია, ქალაქში ძალიან პოპულარულები ვართ.

**— როგორი ატმოსფეროა გუნდში?**

— საკმაოდ მეგობრული გუნდია. ყოველი მატჩის შემდეგ ერთად აღვნიშნავთ წაგებასაც და გამარჯვებასაც. თავისუფალ დროსაც ერთად ვატარებთ. მეტწილად ღამის კლუბებში დავდივართ. სხვათა შორის, პერვუხინსაც ხშირად მოკრავთ ასეთ დაწესებულებებში თვალს.

**— ვისთან მეგობრობ?**

— რომან შილიპკოვთან და მიხეილ გარანინთან, რატი ურუშაძეს უკვე აღარც დავასახელებ, რადგან ყველა შეკრებაზე სულ ერთად ვცხოვრობთ. ასევე ლატვიელი და ყაზახი ლეგიონერები იურკა ბარანოვი და თემურ მაშუროვი.

**— პერვუხინმა საიტზე დაწერა, რომ კარგი ანეგდოტების მოყოლა გეხერხება. ასეა?**

— ანეგდოტები არა, თუმცა ბევრს ვხუმრობთ და ვერთობით.

**— კრასნოიარსკში ძალიან ლამაზი გოგონები არიან, არა?**

— შესანიშნავი. ისინის უფრო ალნაგობით იქცევენ ყურადღებას. სხვათა შორის, იქ ვმეგობრობთ ერთ ქართველ გოგონასთან, ერთად დავდივართ სტუმრად, აგარაკზე, სადაც ქართულად ვწვავთ მწვადებს და ვცდილობთ მონატრებული თბილისის გახსენებას.

**— იქ შეყვარებული გოგონა ხომ არ გყავს?**

— არ ვარ ჯერ ოჯახისთვის მზად. არა მგონია, რუსი ცოლად მოვიყვანო, ძნელია მათი მენტალიტეტის ათვისება.

**— „ენისეი" წლეულს ალბათ ჩემპიონობისთვის იბრძოლებს...**

— კი, საჩემპიონო ამბიციები ყოველ წელს გვაქვს. ჩვენს ქალაქში კიდევ ერთი წამყვანი გუნდია, „კრასნი იარი" და ძირითადი პაექრობა სწორედ ამ ორ კლუბს შორის მიდის.

**— ვვა-ზე რას იტყვი?**

— სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი უდავოდ ძლიერია, სწორედ მათთან დავთმეთ ჩემპიონის ტიტული შარშან და წლეულს დაბრუნებაზე ვფიქრობდთ.

**— როდის მიდიხართ?**

— სამ-ოთხ დღეში მე და რატი გავემგზავრებით ყირგიზეთში, რადგან გუნდი უკვე იქ იმყოფება და დიდი ხანია, ვარჯიშობს.

**— ნაკრებში თუ გამოგიძახეს, ჩამოხვალ?**

— კი, აუცილებლად ჩამოვალ. ნაკრებში თამაში ყოველთვის დიდი სიხარულია.

**ნინო ლეჟავა**

ჩოგბურთი

*ბოლო ათწლეულში საჩოგბურთო სამყარო აშკარად გაახალგაზრდავდა. ეს ტენდენცია განსაკუთრებით ქალთა ჩოგბურთში შეინიშნება. მსოფლიოს საუკეთესო ასეულში შემავალ გოგონათა დიდი ნაწილი ჯერ თინეიჯერული ასაკიდან არ გამოსულა. სამწუხაროდ, ქართული რეალობიდან გამომდინარე, არათუ ოცეულში, ასეულში შესვლაც მიუღწეველ პერსპექტივად რჩება. დიდი ჩოგბურთის სათამაშოდ მარტო ნიჭი და მონდომება არ კმარა. ამ ორს მაქსიმალური ხელშეწყობა და საერთაშორისო პრაქტიკაც სჭირდება. თუ ყველა ეს პირობა შესრულდა, შედეგიც არ დააყოვნებს.*

*ია ჯიქია ჯერ 14 წლისაა, მაგრამ უფროსებს ტოლ-სწორად ეთამაშება. ორიოდ კვირის წინ ლიტვაში 16 წლადმდე გოგოებში იჩემპიონა კიდეც*



# თავს იწონებს ნორჩი ია დიდებშიც და პატარებშიც

— 24 თებერვლიდან 6 მარტამდე ლიტვურ შიაულიაიში ორი საერთაშორისო ტურნირი გაიმართა. პირველი 16, მეორე კი 18-წლამდელთა შორის. 16-წლამდე ჩოგბურთელთა რეიტინგში 110-ე ნომერი ვიყავი და შეჯიბრი ძირითად ბადეში დავიწყე. ნახევარფინალამდე სამი შეხვედრა მოვიგე. იქ კი ევრორეიტინგის მეორე ნომერი, ბელარუსი ბოიარჩუკი დავამარცხე 7:6, 6:3. ფინალშიც ბელარუსი გოგო შემხვდა და 6:2, 6:3 ვძლიე.

**— ამ ჩემპიონობით რეიტინგსაც საგრძნობლად გაიუმჯობესებდი.**

— დაახლოებით 70 საფეხურით წავიწიე წინ, მაგრამ ამას დიდ ყურადღებას არ ვაქცევ. წლეულს ჩემი მთავარი მიზანი 18-წლამდელთა ტურნირებში ასპარეზობა და წარმატებებია.

**— ერთ ასეთ ტურნირზე იმავე შიაულიაიშიც მოგისწრია გამოსვლა...**

— ეს ტურნირი ფინალის მეორე დღეს დაიწყო და რადგან 18-წლამდელებში სარეიტინგო ქულები არ მქონდა, საკვალიფიკაციო ეტაპიდან დამაწყებინეს. სამი შეხვედრის მოგებით ძირითად ბადეში მაინც შევედი და მეოთხედფინალსაც მივაღწიე, შემდეგ სამწუხაროდ, ისეთ მეტოქესთან დავმარცხდი, მოგება რომ შემეძლო.

**— რა იყო მარცხის მიზეზი?**

— პირველ რიგში გადაღლა. ათი დღის განმავლობაში ცამეტი თამაში ჩავატარე. ხელის ტკივილი პირველსავე საკვალიფიკაციოზე ვიგრძენი და ლამის ბრძოლა შევწყვიტე. იქაურმა ექიმებმა ტურნირიდან მოხსნაზეც ჩამოაგდეს სიტყვა, მაგრამ გაყინვებით და დამაწყნარებლებით გამოვდიოდი. უკრაინელ ტოკარევასთან წავაგე. ისიც 16-წლამდელებში გამოდიოდა და ჩემგან ფინალში დამარცხებულმა ჟელტოვამ გამოთიშა ბრძოლას.

**— მეოთხედფინალამდე მისვლით 18-მდე რეიტინგში სანამდე აზვედი?**

— თხუთმეტი ქულა ავიღე და 1 800-დან უცებ 900-ში შევედი. უფრო წინ წასვლაც შეიძლებოდა, წყვილთა შორისაც რომ მეთამაშა, მაგრამ ამაზე უარი ტრავმის გამო ვთქვი.

**— წლეულს რომელ ადგილამდე გეგმავ ასვლას?**

— ყველაზე კარგი შედეგი 100-ში შესვლა იქნებოდა. დიდი სლემის ტურნირებამდე 18-წლამდელთა შეჯიბრებებიც ტარდება და ასეულში მოხვედრა იქ თამაშის საშუალებას მომცემს. წლის ბოლომდე 300-ში დამკვიდრებაც რომ შევძლო, მაინც კარგი შედეგი იქნება.

**— საამისოდ ტურნირების მოგება დაგჭირდება?**

— სტაბილურად კარგად უნდა ვითამაშო და ქულები ვაგროვო. რა თქმა უნდა, ჩემპიონობა საგრძნობლად წამწევს წინ.

**— შენი უახლოესი გეგმები როგორია?**

— 4 აპრილიდან ისრაელში ერთმანეთის მიყოლებით სამი ტურნირი ჩატარდება, ჩემმა მწვრთნელებმა თანხმობა უკვე გააგზავნეს.

**— ცოტა დაგვიანებით, მაგრამ მაინც გკითხავ შენი მწვრთნელის და პირველი საჩოგბურთო ნაბიჯების შესახებ.**

— კორტებზე პირველად 7 წლისა მიმიყვანეს ლეილა მესხის აკადემიაში, მარინა მალაციძესთან. ამჟამად კი კრწანისში მდებარე საჩოგბურთო კლუბ თბილისში ვვარჯიშობ თემურ კაკულიასთან.

**— მართალია, ჯერ ადრეა, მაგრამ პროფესიონალებში ძალის გამოცდაზეც ხომ არ გიფიქრია?**

— 18-წლამდელთა ტურნირები ITF-ის ორგანიზებით ტარდება და პროფესიონალებში გადასვლის წინა პერიოდად ითვლება. მასზე ასპარეზობით მეტ გამოცდილებასაც მივიღებ და უკეთაც მოვემზადები. 2-3 10-ათასიან შეჯიბრს პროფესიონალებში ალბათ წლის ბოლომდე მაინც ვიიამაშებ, ცოტაოდენი ქულები იქაც რომ ავიღო.

**— ბოლოს ფირმა ვილსონთან გაფორმებულ კონტრაქტზეც გკითხავ. ასეთ ასაკში როგორ მოახერხე?**

— შარშან ITF-ის აღმოსავლეთ ევროპის ნაკრებში მოვხვდი 14-წლამდელთა შორის და ერთი თვე მისივე დაფინანსებით ევროპაში გავატარე. ვარჯიშებს დიდი ევროპელი მწვრთნელები მიტარებდნენ. ოთხ ტურნირშიც გამოვედი. აღმოსავლეთ ევროპის 5-კაციანი ნაკრების გარდა მათზე მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში შედგენილი მსგავსი გუნდებიც გამოვიდნენ. ფრანგული ტურნირის მსვლელობისას ჩემთან ფირმა ვილსონის წარმომადგენელი მოვიდა და კონტრაქტიც იქვე გამიფორმა. პირველი ინვენტარით იქვე დამასაჩუქრეს. მორიგ საჩუქარს საზაფხულოდ მივიღებ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

*ია ჯიქიას საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობას, მგზავრობას და ცხოვრებას მთლიანად ოჯახი აფინანსებს. ცხადია, პრაქტიკის მისაღებად საჭირო შეჯიბრთა რაოდენობას მარტო ეს ვერ ეყოფა. იქნებ ვინმემ ამ საქმეში ფულის დაბანდებაზეც იფიქროს. ფაქტია, რომ მოგების ნახვის პერსპექტივა არსებობს.*

# ...ახლა კარგია გავლა

## ცქიტიშვილს ნერვიულობაც მობეზრდა



*ნიკა ცქიტიშვილი უკვე არც არაფერზე ნერვიულობს, ჯეფ ბზელიკზე მაინც არაფერი ჭრისო, ზის „დენვერის“ სკამზე და სეზონის დასრულებას ელოდება. ამ სკამზე დაგროვილ „დარდს“ ძმაბიჭებში სეირნობით იქარვებს და უწინდელზე მეტ დროს უთმობს გართობას. გუშინ, მილუოკიში სათამაშოდ... უკაცრავად, „დენვერ“—„მილუოკის“ თამაშის მხოლოდ სანახავად ჩასულ ნიკას რომ შევეხმიანეთ, თანაგუნდელ დოსტ კრის ანდერსენთან ერთად იყო ამ ქალაქის უნივერსიტეტის სტუდენტურ საერთო საცხოვრებელში — სუპერმარკეტში ზანგი ფანები გაუცვნია და მათთან ერთად ილხენდა გოგონებით დახურძლულ „ფართიზე“*

**— ნიკას გაუმარჯოს! სად ხარ, სიცილ-კისკისი რომ ისმის?**

— მილუოკის უნივერსიტეტის სტუდქალაქში ვარ, სუპერმარკეტში კალათბურთზე გაგიჟებული ბიჭები გავიცანით მე და კრის ანდერსენმა და თავისთან დაგვპატიჟეს. მილუოკიში სათამაშოდ ჩამოვედით, ხვალ „ბაქსს“ ვხვდებით.

**— მერე თამაშის წინ დასვენება არ გინდათ, ახლა მანდ საკმაოდ გვიანი უნდა იყოს...**

— მალე წავალთ სასტუმროში, უარი ველარ ვუთხარით ამ ბიჭებს, ძალიან დიდი სითბო და სიყვარული გამოამჟღავნეს ჩვენს მიმართ. თქვენც გიცნობთ და „დენვერიც“ ძალიან მოგვწონსო.

**— რას აკეთებთ, როგორ ერთობით?**

— იმდენი ლუდი დალიეს, ესენი უკვე გათიშული მთვრალები არიან, ჩვენ ცოტას ვწრუპავთ. გოგოებიც არიან და ვხალისობთ. ისე, სადაც კი გაიხედავ, ყველგან გოგოები არიან, ამათ გარეშე აქ გართობას აზრი არ აქვს.

**— ანდერსენის გარდა სხვა დენვერელებმა თუ იციან, მანდ რომ ხარ?**

— არა, მე და ანდერსენი ვსეირნობდით ქალაქში, ამ ზანგ ბიჭებს რომ შევხვდით. ანდერსენი ჩემი ძმაკაცია, გუნდში მასზე ახლოს არავისთან ვარ.

**— ანდერსენს ჩატენვების ტურნირზე უქომაგებდი ოლ სტარზე.**

— აბა, რა. თუ მკითხავ, ანდერსენი ყველას სჯობდა იქ, მაგრამ გამარჯვება სხვას აჩუქეს.

**— ჟიურის წევრებს ეგებ მისი ვარცხნილობა არ მოეწონათ, ჯეკ ნიკოლსონიც ამრეზით უყურებდა ანდერსენის აფოფრილ თმებს...**

— არა, რატომ, ჯეკ ნიკოლსონს ძალიან მოსწონს ანდერსენის თამაში, ისინი პირადად იცნობენ ერთმანეთს და ნიკოლსონი მისი ქომაგია.

**— ჯეფ ბზდელიკი ახალს რას გეუბნება?**

— რა არის სალაპარაკო, დამთავრდება სეზონი და ის თუ არა, მე წავალ გუნდიდან. მასთან ლაპარაკს აზრი არა აქვს, ერთი და იგივეს ჭრის და კერავს.

**— „დენვერს“ ახლა ერთობ გაურთულდა საქმე და ბზდელიკის პოზიციებიც შესუსტდებოდა...**

— რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე 17 მატჩიღა დარჩა და ბზდელიკს ახლა არავინ გაუშვებს, ბოლომდე ჩაამთავრებინებენ ამ სეზონს. ეგებ სამომავლოდაც დაიტოვონ, არ ვიცი. ბოლო დროს ბზდელიკი ძალიან უცნაურად იქცევა, თითქოს ძალით აგებს თამაშებს, რათა გაუშვან. ეს მხოლოდ ჩემი აზრი არაა, მთელი გუნდი ამაზე ლაპარაკობს. ბზდელიკი უადგილო შეცდომებს აკეთებს, რასაც ადრე არაფრით დაუშვებდა. ამიტომაც წაგვაგო ბოლო ათი თამაშიდან რვა.

**— შენ არც ისე გათამაშებს და არც ასე...**

— ეს უკვე აღარ მიკვირს, მშვიდად ვარ და სეზონის დასასრულს ველოდები.

**— შენ ხელს არ უნდა გაძლევდეს „დენვერის“ პლეი ოფში გასვლა, ასე ხომ ბზდელიკს დარჩენის მეტი შანსი ექნება...**

— ეგ ჰო, მაგრამ პლეი ოფში გასვლისთვის სერიოზული პრემიები გველის და ჯობს, ეს ფული ავიღო. თუ ბზდელიკს არ გაუშვებენ, სხვა გუნდებს ვუნდივარ და წავალ.

**— უპრობლემოდ გაგიშვებენ დენვერელები?**

— მაგას ვერ ვიტყვი, მოლაპარაკებებსა და პირობებს გააჩნია. „დენვერში“ არავის უნდა ჩემი გუნდიდან წასვლა, ბზდელიკის გარდა ყველა კარგი თვალით მიყურებს. კი, ახალგაზრდა ვარ და მოთმინება მმართებს, მაგრამ სწორედ მაშინ დამსვეს სკამზე, როცა პროგრესირება დავიწყე. ერთი სეზონი უკვე დამიკარგა ბზდელიკმა, ამას მომავალში აღარ დავუშვებ.

**ირაკლი პერტაია**

Euroleague

# ევროლიგა

**მეორე ჯგუფური ეტაპი. II ტური. 10-11 მარტი**

# ათასი მადლობა ათი ქულისთვის




არვიდას საბონისი ჯილდოებს ბებერიც არ იღებს

**მეორე** ჯგუფურ ეტაპზე ბოლო წამს გამსხლტარი ლიუბლიანის „ოლიმპია“ ჯერ არც მაღალ საზოგადოებაში ირცხვენს თავს. პატარა სლოვენიის დიდმა სიამაყემ პირველ ტურში E ჯგუფის ამჟამინდელ ლიდერ „სკიპერთან“ კი წააგო, მაგრამ ფიცხელ ბრძოლაში, მეორე ტურში კი მეორე ბობოლა „ეფესთან“ მხოლოდ ბრძოლას არ დასჯერდა.

ლიუბლიანა კარგა ხანს არ დაუვიწყებს ვოვა ბოისას ამაგს, მაგრამ სლოვენიელთა რუსთაველი კაპიტანი გუნდის მეორე ეტაპზე გაყვანის შემდეგაც რჩება „ოლიმპიას“ გაჭირვების ტალკვესად. თურქული გოლიათის დაჩოქება მისი დამსახურებაცაა. ვოვას უსაშველოდ ბევრი არ ჩაუგდია, 10 ქულა მიითვალა, მაგრამ, როგორც ევროლიგის საიტი გვამცნობს, სულ საკვანძო ეპიზოდებში გაუსვრია ყუმბარები მეტოქის კალათისკენ. თავიდან თურქებმა რომ აიწყვიტეს და საკმაო უპირატესობასაც დაეუფლნენ, ბოისამ მიჯრით ორი სამქულიანი დასჭექა და ჯერ დააწინაურა ლიუბლიანელები, შემდეგ კი 4-ქულიანი ლიდერობაც დაუბევა.

პირველი მეოთხედი „ოლიმპიამ“ 4 ლიდერობით ჩაამთავრა, მცირე შესვენების შემდეგ კი აიწყვიტა და ბაზდარიჩ-დუჯმოვიჩის სამქულიანებით დროის ორწუთიანი მონაკვეთი 10:0 მოიგო. თურქები რომ ეფეს პილსენის დასალევად და ლულა ქაბაბის საჭმელად არ იყვნენ მოედანზე გამოსულები, თამაშს მალევე დაეტყო. მაგრამ ადუღებულ სტამბოლელებს ისევ ვოვა ბოისამ გადასხა ცივი წყალი დაცვაში კლდეთავით გამაგრებულ ვოვას ალოიზიუს ანაგონიეც წაეშველა და „ოლიმპიამ“ 10-ქულიან ჰანდიკაპს მიაღწია ტაიმის მიწურულს.

მესამე მეოთხედში თურქები თითქოს უიმედო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, როცა საშო ოზბოლტისა და იმავ დუჯმოვიჩის მოწადინებას ლიუბლიანელთა 17-ქულიანი დაწინაურება მოჰყვა. თუმც ეშმაკ თურქებს არ ეძინათ და „ეფესი“ ნაბიჯ-ნაბიჯ წამოეწია მეტოქეს. მთელ თავის ოსტატობას მოუხმო ოდესღაც კლივლენდელმა, თუმც ევროლიგაში უფრო ცნობილმა და დაფასებულმა მეტისმა ტრაიან ლანგდონმა, რომელმაც სტამბოლელთა ჩამორჩენა ბოლო მეოთხედში 5 ქულამდე შეამცირა. და დადგა ისევ ბოისას ჯერი. აი, ამონაწერი ჟიგა ბოჩის საამმატჩო რეპორტაჟიდან: „ეფესის“ წამოწევით დაპანიკებული ლიუბლიანელები მათმა კაპიტანმა ვლადიმერ ბოისამ დააწყნარა, რომელმაც ორი უმნიშვნელოვანესი ორქულიანით სტამბოლელთა მიძალება შეაჩერა.“ ამის შემდეგ „ოლიმპიამ“ მშვიდად მიიყვანა მატჩი გამარჯვებამდე და ახლა „ეფესთან“ E ჯგუფში მეორე ადგილს იყოფს.

ტურის მთავარი მოვლენა კი ჩემპიონ „ბარსელონას“ კატალონიაში დამარცხება გახლდათ. ამით დაიმსხვრა „ბარსას“ საკუთარ სარბიელზე დაუმარცხებლობის მითი, რომელიც 2001 წლიდან მოყოლებული არსებობდა. ბოლო სამი წლის განმავლობაში „ბარსელონამ“ ევროლიგაში 27 მატჩი გამართა საკუთარ ქალაქში და ყველაში იმარჯვა.

„ბარსელონური რევოლუციის“ შემოქმედი ტრევიზოს „ბენეტონია“, რომელმაც ეს ტურნირი მანუჩარ მარკოიშვილთან ერთად დაიწყო და ამას წინათ იგი გერმანულ „მიტელდოიჩერში“ გაანათხოვრა.

როგორც მატჩის მნახველი ჟურნალისტები აღნიშნავენ, მიუხედავად ბენეტონელთა უმკვირცხლესი გამთამაშებლის ტაიუს იდნის 22 ქულისა, გამარჯვების მთავარი მედროშე ტრევიზოელთა მწვრთნელი ეტორე მესინა ყოფილა. გამოცდილმა იტალიელმა მწვრთნელმა ისეთი მწყობრი ზონა დაუპირისპირა ბარსელონელებს, რომ მათ მაქსიმალურად შეუზღუდა მოქმედების არე. მესინას ტაქტიკურ აბლაბუდაში გაება ევროპის უპირველესი კალათბურთელი დეიან ბოდიროგაც, რომელმაც საწყის 15 წუთში ოდენ 2 ქულა ჩააგდო და საბოლოოდაც არცთუ ბევრი — 12 დაუგროვდა. ამ გამარჯვებით „ბენეტონმა“ შური იძია „ბარსელონაზე“ შარშანდელ საევროლიგო ფინალში მარცხისთვის. ამ მოულოდნელმა შედეგმა F ჯგუფში ყველა გაათანაბრა, ოთხივე გუნდს თითო მოგებ-წაგება დაუგროვდა.

| D ჯგუფი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|

**ცსკა 68:61 ციბონა**
ცსკა: თურქჯანი (15 ქულა, 21 მოხსნა)
ციბონა: რიმაჩი (19)

**ოლიმპიაკოსი 83:85 ტაუ**
ოლიმპიაკოსი: გორენცი (24), ლიადელისი (22)
ტაუ: მასიაუსკასი (22)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 2· | 0 | 0 | +21 | 4 |
| ტაუ | 2 | 2 | 0 | +8 | 4 |
| ციბონა | 2 | 0 | 2 | -13 | 2 |
| ოლიმპიაკოსი | 2 | 0 | 2 | -15 | 2 |

**E ჯგუფი**

**სკიპერი 87:81 პო ორტეზი**
სკიპერი: დელფინო (17)
პო ორტეზი: პიეტრუსი (22)

**ოლიმპია 68:57 ეფესი**
ოლიმპია: ოზბოლტი (18), ბოისა (30 წუთი, 10 ქულა, 2 მოხსნა, 2 ჩაჭრა)
ეფესი: ლანგდონი (16)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სკიპერი | 2 | 2 | 0 | +14 | 4 |
| ეფესი | 2 | 1 | 1 | +9 | 3 |
| ოლიმპია | 2 | 1 | 1 | +3 | 3 |
| პო ორტეზი | 2 | 0 | 2 | -26 | 2 |

**F ჯგუფი**

**ბარსელონა 67:77 ბენეტონი**
ბარსელონა: ბოდიროგა (12)
ბენეტონი: იდნი (24)

**სიენა 86:67 პანათინაიკოსი**
სიენა: ტორნტონი (19)
პანათინაიკოსი: ხაძივრეტასი (20)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სიენა | 2 | 1 | 1 | +14 | 3 |
| ბენეტონი | 2 | 1 | 1 | +3 | 3 |
| ბარსელონა | 2 | 1 | 1 | -5 | 3 |
| პანათინაიკოსი | 2 | 1 | 1 | -12 | 3 |

**G ჯგუფი**

**ულქერი 77:81 პამესა**
ულქერი: ქუთლუაი (31), ნაუმოსკი (15)
პამესა: ობერტო (16)

**ჟალგირისი 78:70 მაკაბი**
ჟალგირისი: კოტა (14), საბონისი (11)
მაკაბი: იასიკევიჩუსი (20)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჟალგირისი | 2 | 2 | 0 | +20 | 4 |
| მაკაბი | 2 | 1 | 1 | +7 | 3 |
| პამესა | 2 | 1 | 1 | -11 | 3 |
| ულქერი | 2 | 0 | 2 | -11 | 2 |

G ჯგუფში არავი ელოდა „ჟალგირისის“ ლიდერობს. კაუნასელებმა ამ ტურში შინ უძლიერესი და მომავალი ოთხთა ფინალის მასპინძელი „მაკაბი“ დაამარცხეს. მატჩის დაწყებამდე დიად ლიტველ არვიდას საბონისს წინა ჯგუფური ეტაპის საუკეთესო მოთამაშის პრიზი გადასცეს, რომელმაც ტიტულის მითვლიდან რამდენიმე წუთში დაამტკიცა, რომ 40 წელს მიტანებულიც კი უძლიერესი ცენტრია ევროპაში.

შარშანდელი ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთმა გმირმა, მაკაბელთა ლიტველმა გამთამაშებელმა შარუნას იასიკევიჩუსმა ძალიან მოიწადინა თანამემამულეთა თვალწინ თავის გამოჩენა, მაგრამ მრავლისმნახველი საბონისის გამოცდილებას ვერაფრით გადაახტა. „ჟალგირისმა“ იმარჯვა და ებრაელებს ყოფა აუფორიაქა. თელ ავივში გამალებით ემზადებიან ოთხთა ფინალის სამასპინძლოდ და საცოდაობა იქნება, ამ საკალათბურთო ზეიმმა მათი საამაყო „მაკაბის“ გარეშე რომ ჩაიაროს.

**ირაკლი პერტაია**




ვლადიმერ ბოისა



# ფალიანის გვარიანი

## პირველ თორმეტიანს მესამე ამერიკული მოჰყვა

*გუშინ დილით ამერიკაში მოვარჯიშე-მოკრივე ქართული ოთხეულის (კობა გოგოლაძე, რამაზ ფალიანი, შალვა ფალიანი, ავთო ხურციძე) მონაგარი მესამე ქამრით გამდიდრდა. კობას ორ ჯილდოს თავის წილი რამაზმა მიუმატა.*
***IBA**-სტიტულისთვის ბრძოლაში ფალიანს მეტოქეც წინანდელებზე უკეთესი ჰყავდა და ბრძოლამაც 12 რაუნდს გასტანა. მისი პერიპეტიების უკეთ შესატყობად ბიჭებს ამერიკაში გუშინვე შევეხმიანეთ, მაგრამ გასაუბრება მხოლოდ კობასთან და შალვასთან მოვახერხეთ. დღის გმირს საპატიო მიზეზი ჰქონდა, შეხვედრის შემდეგ დაქანცულს ტკბილად ეძინა და აბა როგორ შევაწუხებდით*

**კობა გოგოლაძე**

— გვარიანად ვინერვიულეთ, მაგრამ რომ მოუგებდა, დარწმუნებულები ვიყავით. დაახლოებით 25-მდე ქართველმა მოვიყარეთ ბალტიმორის დარბაზში თავი. მხურვალედაც ვუქომაგეთ და გავიხარეთ კიდეც.

**— აქამდე რამაზს 6 რაუნდზე მეტი არასოდეს ეჩხუბა. ხომ არ გაუჭირდა?**

— პირიქით, ძალიან ჭკვიანურად იჩხუბა. თავიდანვე კარგად შეუტია და ნელ-ნელა ტემპს უმატა. ქულებით მოიგო, მაგრამ სხვაობა მართლა დიდი იყო.

**შალვა ფალიანი**

— ძალიან მძიმე ბრძოლა გადაიტანა. ზანგი მარტეზე ლოგენი იმაზე ძლიერი აღმოჩნდა, ჩვენ რომ ვფიქრობდით. იცოდა რამაზის ჩხუბი და ცდილობდა მისი სუსტი წერტილები ეძებნა. გულახდილად გეტყვით, რამაზი გაციებული იყო და ჩხუბის გადადებაც კი გვინდოდა, მაგრამ თვითონ არ ქნა.

**— რითი აჯობა მოწინააღმდეგეს?**

— ჭკუით და ტექნიკით. ერთხანს მხოლოდ მუცელში ურტყამდა და ამით გატეხა.

**— უფრო კონკრეტულად გვითხარი, როგორ წარიმართა ბრძოლა.**

— პირველ რაუნდში ერთმანეთი დაზვერეს და უპირატესობა არც ერთს არ ჰქონია. მეორე-მესამეში ლოგენმა ისე შეუტია, შეგვეშინდა, მაგრამ რამაზმა ძალა მოიკრიბა. რაუნდიდან რაუნდამდე უმატებდა, მეშვიდეში ნოკდაუნსაც მიაღწია. ჩვენდა გასაკვირად, მეტოქემ ჩვეულებრივად განაგრძო ბრძოლა, თუმც ცოტა შეშინდა და უკან დაიხია. მოგების შანსი მას არც ჰქონია. გვარიანი სხვაობით დამარცხდა.

**— ახალი დროშა ხომ არ გიშოვიათ?**

— კობას ბოლო მოგებისგან განსხვავებით, უკვე დროშაც გვქონდა და რამაზმა დიდხანს აფრიალა. გულშემატკივრებმა ხომ სულ აიკლეს იქაურობა. კამერა ან ჩხუბს აჩვენებდა, ან მათკენ იყო მიბრუნებული. ქართველთა რიცხი ბევრად მეტი იქნებოდა, ჩხუბი სამუშაო დღეს რომ არ ჩატარებულიყო.

**— ბოლოს თქვენს გეგმებზეც გვითხარით.**

— ახლა საქომაგო ავთო „ჩაქუჩა“ ხურციძე გვეყოლება. მარტის ბოლოს მეორე სარეიტინგო ბრძოლას ჩაატარებს. აპრილში კი ჩემთან და კობასთან ერთად მესამესაც იჩხუბებს.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# ფორმულაში ბავშვები მომრავლდნენ

ყოველწლიურად საფორმულო სარბიელზე სამი-ოთხი ახალი სახელი ჩნდება. დებიუტანტთა შარშანდელი ოთხეულიდან მხოლოდ ბრაზილიელი კრისტიანო და მატა („ტოიოტა“) დარჩა საქმეში, დანარჩენები სუსტი შედეგების გამო ბოსებმა დაითხოვეს.

წლეულსაც არ დარღვეულა „წესი“ და მოხსნილთა ადგილები ახლებმა დაიკავეს. ესენი არიან იტალიელები — 25 წლის ჯორჯო პანტანო („ჯორდანი“), მასზე სამი წლით უმცროსი ჯანმარია ბრუნი („მინარდი“) და ავსტრიელი კრისტიან კლინი („იაგუარი“), რომელიც ერთი თვის წინ 21 წლის შესრულდა. დებიუტანტებიდან ყველაზე გამოცდილი და სახელიანი პანტანოა — ფორმულა 3000-ის შარშანწინდელი ვიცე-ჩემპიონი. თუმც თანაგუნდელის გაუტანლობა რომ არა, იგი „სამეფო რბოლებში“ უმცროსი ფორმულიდან ჩემპიონად მივიდოდა. საქმე ისაა, რომ უნგრეთში რბოლისას საჯინიბოს ხელმძღვანელობამ მეორე პოზიციაზე მყოფ ენრიკო ტოკაჩელოს, რომელსაც საერთო ჩათვლაში სამეულის შანსიც არ ჰქონდა, რაციით უბრძანა, პანტანო წინ გაეშვა. ენრიკომ, აქაოდა რადიო არ მუშაობდაო, გზა არ დაუთმო. ორი ეტაპის შემდეგ, ჩემპიონატის ფინიშზე ქულების დათვლისას აღმოჩნდა, რომ თანამემამულის ამ ურჩობამ პანტანოს ტიტული დააკარგინა, ტოკაჩელო კი საბოლოოდ მხოლოდ მეცხრე ადგილზე გავიდა.

ფორმულა ერთი ბოლო ორი სა გრძნობლად გაახალგაზრდავდა. წლევანდელი ოცეულიდან ხუთნი 21-23 წლისანი არიან. ახალი თაობისთვის გზის დათმობა, რა თქმა უნდა, ცუდი არაა, მაგრამ ამ სახიფათო ხელობაში სიფრთხილეც ხომ აუცილებელია. ნაჩქარევად ლიცენზიამიღებულ, ნაკლებად გამოცდილ მძღოლთა არაერთი მძიმე ავარია გვახსოვს. შესადარებლად, წლევანდელების საშუალო ასაკი 27,2 წელია, ვთქვათ, ათი წლის წინ კი 29,4 იყო.

„სამეფო რბოლების“ 55-წლიან ისტორიაში ყველაზე ყმაწვილპილოტთა სიიდან ოთხი 2000 წლის შემდეგ მიუჯდა საჭეს.

### ფორმულა 1-ის ყველაზე ახალგაზრდა მრბოლები

| ასაკი | მრბოლი | ქვეყანა | გუნდი | დებიუტი |
|---|---|---|---|---|
| 19 წლის 182 დღის | მაიკ ტაქუელი | ახალი ზელანდია | ტირელი | 1980 |
| 19 წლის 208 დღის | რიკარდო როდრიგესი | მექსიკა | ფერარი | 1961 |
| 19 წლის 218 დღის | ფერნანდო ალონსო | ესპანეთი | მინარდი | 2001 |
| 19 წლის 320 დღის | ესტებან ტუერო | არგენტინა | მინარდი | 1998 |
| 19 წლის 324 დღის | კრის ამონი | ახალი ზელანდია | ლოლა | 1963 |
| 20 წლის 53 დღის | ედი ჩივერი | აშშ | ჰეკეტი | 1978 |
| 20 წლის 53 დღის | ჯენსონ ბატონი | დიდი ბრიტანეთი | უილიამსი | 2000 |
| 20 წლის 192 დღის | პიტერ კოლინსი | დიდი ბრიტანეთი | HWM | 1952 |
| 20 წლის 295 დღის | რუბენ ბარიკელო | ბრაზილია | ჯორდანი | 1993 |
| 20 წლის 301 დღის | ელიო დე ანჯელისი | იტალია | შედოუ | 1979 |
| 20 წლის 312 დღის | ფელიპე მასა | ბრაზილია | ზაუბერი | 2002 |
| 20 წლის 338 დღის | ბრიუს მაკლარენი | ახალი ზელანდია | კუპერი | 1958 |
| 21 წლის 29 დღის | კრისტიან კლინი | ავსტრია | იაგუარი | 2004 |



მაიკ ტაქუელი

ამ ბიჭების მომავალი სხვადასხვანაირად წარიმართა. ზოგი ბედს ეწია, ზოგსაც ტრასებზე უმუხთლა ბედმა.

მაიკ ტაქუელი საფორმულო ისტორიას უიღბლო ვუნდერკინდად შემორჩა. 1980 წლის 28 სექტემბერს კანადაში რბოლის დასაწყისშივე ისეთი ავარია შეემთხვა, რომ ხელმეორე სტარტზე ვეღარ გავიდა. მომდევნო წლებში ფორმულა 2-ში ასპარეზობდა და ევროპის ჩემპიონიც გახდა. 1984 წელს უმაღლეს კლასს კი დაუბრუნდა, მაგრამ იმავე მონრეალის ტრეკზე ნახევარი დისტანციის გავლაც ვერ შეძლო — მაიკის „ტირელს“ ძრავამ უმტყუნა და უმოკლესი კარიერაც ამით დასრულდა.

ესტებან ტუერომ (16 რბოლა), კრის ამონმა (96) და ედი ჩივერმაც (132) ბევრს ვერაფერს მიაღწიეს და უხმაუროდ დატოვეს ასპარეზი.

ოთხის მძღოლობა ტრაგიკულად შეწყდა — რიკარდო როდრიგესი (20 წლის), პიტერ კოლინსი (27), ელიო დე ანჯელისი (28) და მსოფლიოს 1960 წლის ვიცე-ჩემპიონი ბრიუს მაკლარენი (32) რბოლებში ან ტესტებისას დაიღუპნენ.

რაც შეეხებათ დღევანდელებს, კრისტიან კლინმა ჯერ მხოლოდ ერთხელ მოასწრო გაჯირითება, ფელიპე მასას ერთი სრული სეზონი (16 რბოლა, 4 ქულა) ჰქონდა, ხოლო უდავოდ ნიჭიერი ჯენსონ ბატონი ოთხ ჩემპიონატში ერთხელაც ვერ შედგა პოდიუმზე და ჯერჯერობით ვერ ამართლებს იმ სპეციალისტთა იმედებს, ვინც მას ლამის საჩემპიონო მომავალი უწინასწარმეტყველა. ინგლისელის საუკეთესო შედეგი შარშანწინდელი მეშვიდე ადგილია.



ფერნანდო ალონსო

ფერნანდო ალონსო გასულ სეზონში ოთხგზის ჩაეწერა „სამეფო რბოლების“ უმრწემეს მერეკორდეთა სიაში და, იქნებ სამუდამოდაც. ნანდომ უნგრეთის დიდი პრიზი 22 წლის და 26 დღისამ მოიგო და მაკლარენის 44-წლის წინანდელი მიღწევა 77 დღით გააუმჯობესა. გარდა ამისა, იგი ყველაზე ახალგაზრდა შედგა პოდიუმზე, მოიგო პოული და რბოლაში უსწრაფესი წრეც აჩვენა.

ცამეტეულის ბიჭებიდან ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია დღეს უკვე 31 წლის ბებერმა ბარიკელომ. რუბინიომ 181 რბოლიდან 7 მოიგო, 345 ქულა დააგროვა და 2002 წელს „ფერარით“ ვიცე-ჩემპიონობაც მოიპოვა. წლეულს უფრო მეტი მოისურვა და თანაგუნდელ მიხაელ შუმახერისთვის ტიტულის წართმევაზე აჭიკჭიკდა, ბედაური მაგარი და სწრაფი მყავს, თანაც იმედია, გუნდის ბოსობა აღარ მიბრძანებს მიხაელი წინ გაუშვაო.

**გია ახალაძე**




საჩემპიონოდ დაჭოჭილი რუბენს ბარიკელო



## NBA რეგულარული ჩემპიონატი

11 მარტი

**ჰიუსტონი 97:86 ნიუ ორლეანი**
**ჰიუსტონი:** დევისი (30)
**ნიუ ორლეანი:** მობლი (31), ფრენსისი (19), ჯეკსონი (19)

**საკრამენტო 120:102 დალასი**
**საკრამენტო:** მიჩელი (18), ნივიცკი (21)
**დალასი:** კრისტი (22), ბიბი (21), სტოიაკოვიჩი (22), მილერი (21)

# ძმები

**იტალიელი ნედო ნადი ერთადერთი მოფარიკავეა, რომელმაც ერთ ოლიმპიურ თამაშებში ხუთი ოქროს მედალი მოიპოვა. ეს მოხდა 1920 წლის ანტვერპენის თამაშებზე.**

**იქვე ნედოსთან ერთად ასპარეზობდა მისი ძმა ალდო, რომელიც სამგზის ჩემპიონი გახდა, ორივე ერთად კი ერთი ოლიმპიადის ჯამში რვა ოქროს და ერთი ვერცხლის მედლის მფლობელად მოგვევლინა, რაც ასევე უნიკალური და განუმეორებელი მიღწევაა. იმ ვერცხლის ოქროდ გადადნობა კი შეძლებული იყო, რადგან ძმები ფინალში ესპადრონით დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. უფროსმა გაიმარჯვა**

**ძმებმა** ექვსი შესაძლებლობიდან ხუთი ოქროს მედალი მოიპოვეს და მხოლოდ ერთი დათმეს. ისიც იმიტომ, რომ მასზე იმთავითვე უარი თქვეს. თუმცა, ნედო ნადის ამ დანაკლისს უვსებდა 1912 წელს სტოკჰოლმის თამაშებზე მოპოვებული ოლიმპიური ოქრო.

ამგვარად, ნედო ნადი პირველი ექვსგზის ოლიმპიური ჩემპიონია ფარიკაობაში: ნედო ნადის მერე ამ მხრივ მოზიარეებიც გამოუჩნდნენ თანამემამულე ედოარდო მანჯიაროტისა და უნგრელების პალ კოვაჩისა და რუდოლფ კარპატის სახით, რომლებიც ასევე ექვსგზის ჩემპიონები არიან, უნგრელი ალადარ გერევიჩი სულაც შვიდგზის გამარჯვებულია, მაგრამ ყველა მათგანს საამისოდ ოთხ-ხუთ ოლიმპიადაზე ბრძოლა გადახდათ მაშინ, როცა ნედო ნადიმ ყველაფერს ლამის ერთი ჩხვლეტით მიაღწია. ამასთან, არ დარჩენილა იარაღი, რომლითაც ნედო ნადის ოლიმპიური ოქრო არ მოეპოვებინოს მაშინ, როცა სხვები ერთი ან ორი იარაღით იყვნენ დაოსტატებულნი. ნედო ნადივით ყველა იარაღით ოლიმპიური ოქროს მედალი მხოლოდ მისმა ძმამ მოპოვა.

ძმებს მამა ჯუზეპე ავარჯიშებდა, რომელსაც ბეპესაც ეძახდნენ.

ბეპე ნადი ღარიბი ჯარისკაცის შვილი იყო. ლიგურიის ზღვასთან ნაპირზე ქალაქ ლივორნოში ცხოვრობდა. შესანიშნავი მოფარიკავე იყო, მაგრამ ოჯახი რომ ერჩინა, მეხანძრედ მუშაობდა. მერე, როცა ამ პომპიურომ მსოფლიო ფარიკაობაში სახელი გაითქვა 1892 წელს საკუთარი ფარიკარობის აკადემია გახსნა. ამ კაცმა მთელი ცხოვრება ფარიკაობას შესწირა. მან დანერგა ბრძოლის თავისებური სტილი თუ მანერა, რაც „ფარიკაობაში ახალ ფრანგული ხელოვნების სახელით“ მოინათლა. ბეპე ნადი თავის აკადემიაში სხვებსაც ავარჯიშებდა და საკუთარ ვაჟიშვილებსაც. საკუთარი იდეებისა და მიზნების განხორციელებას აღსაზრდელებითაც ცდილობდა, რასაც შვილების მეშვეობით მიაღწია. მისი ფავორიტი მაინც უფროსი ვაჟი ნედო იყო, რომელიც 1893 წელს შეეძინა. მას ვარჯიში 6 წლისას დააწყებინა და იმთავითვე მსოფლიოში უძლეველი მოფარიკავეობისთვის ამზადებდა.

ალდო ნადი 1899 წელს დაიბადა და მამამ ოთხი წლისას უკვე იარაღი დააჭერინა ხელში. ასე რომ, ძმებს თითქმის ერთდროულად დააწყებინა ფარიკაობის ანბანი. ფარიკაობის მაესტრო უფროს შვილს აქეზებდა, აბა, შენ იცი, პატარამ არ გაჯობოსო, პატარას კი სხვაგვარად ქოქავდა, ცუდად თუ ივარჯიშებ, ნედო დაგცინებსო.

და ბიჭებიც თავს არ ზოგავდნენ, მოულლელად დიდი ხალისით იარაღს გაუთავებლად აწკარუნებდნენ. მათი იარაღი დღითი დღე სულ უფრო ელვარე ხდებოდა, თავად ფარიკაობა კი — დახვეწილ-რაფინირებული. ამის შემხედვარე ბეპეს სხვა აღსაზრდელები ძმებს ორ სრულყოფილ მანქანას ეძახდნენ, შვილები კი მამას აღმერთებდნენ და ეთაყვანებოდნენ.

უფროსმა ძმამ ფარიკაობაში პირველი გამოცდა 1908 წელს ვენაში გამართულ სამოყვარულო შეჯიბრებაში ფრიადზე ჩააბარა. მაყურებელი ისე მოხიბლა, რომ ფარიკაობის მოცარტი შეარქვეს. თუმცა ჯერ მხოლოდ თხუთმეტისა იყო. 1912 წელს, როცა სტოკჰოლმის ოლიმპიურ თამაშებში ჩაება, თვრამეტისა კი იყო, მაგრამ ფარიკაობისთვის ესეც ძალიან ახალგაზრდულ ასაკს წარმოადგენდა. ამის მიუხედავად რაპირით პირველობაში ყველა მეტოქეს სძლია და ოქროს მედალი მოიპოვა.

ნედოს გამარჯვებამ 13 წლის ალდო უფრო აღანთო და ძმასთან ერთად მომდევნო, 1916 წლის ბერლინის ოლიმპიადისთვის მეტი შეუპოვრობით დაიწყო ვარჯიში. სამწუხაროდ, მერე პირველი მსოფლიო ომი ატყდა. უფროსი ძმა ნამდვილ ომში ჩაება, იქ გამოჩენილი მამაცობისთვის კი მედლით დააჯილდოვეს და 1918 წელს შინ ცოცხალი და უვნებელი დაბრუნდა.

ძმებმა ერთად ვარჯიში განაახლეს და 1919 წელს ერთადვე გამოვიდნენ შიდა გაერთიანებულ ასპარეზობაში, მერე კი 1920 წელს ანტვერპენის ოლიმპიურ თამაშებში ჩაებნენ.

ანტვერპენში ბეპე ნადის ვაჟიშვილებს ყველა სცნობდა და მოწიწებით ეპყრობოდა. ორივე ერთი სიმაღლისანი იყვნენ, მაგრამ უფროსი ნედო ნადი უფრო აღნაგად და სოლიდურად გამოიყურებოდა, უმცროსი ალდო ნადი კი თხელი და ლერწამივით მოქნილი იყო. უფროსი უკვე ოლიმპიური ჩემპიონი, იტალიელთა გუნდს კაპიტნობდა, უმცროსი კი ჯერ კიდევ საკუთარი საფარიკაო სტილის დაუღალავ ძიებაში იყო.

ნადების მთავარი მეტოქე ამ ოლიმპიადაზე სახელგანთქმული ფრანგი ლუსიენ გოდენი იყო, ვინც ცაციით იბრძოდა და ასევე უნიკალური მოფარიკავე გახლდათ. იგი ანტვერპენამდე ოფიციალურ შეჯიბრებებში დაუმარცხებლად იბრძოდა. ისე კოხტად და გრაციოზულად ასპარეზობდა, რომ მას ერთნი ფრანგული საფარიკაო სკოლის ყვავილს უწოდებდნენ, მეორენი — ფარიკაობის პოეტს.

რაპირით გუნდურ პაექრობაში, რითაც მოფარიკავეთა ტურნირი დაიწყო, ნედო ნადიმ როგორც იტალიელთა კაპიტანმა, გოდენის წინააღმდეგ საბრძოლველად თავისი ძმა გაამწესა. ძმამაც გაამართლა იმედები და თანამემამულენი ძლევამოსილი ტრიუმფის გზაზე შეაყენა.

გოდენმა თავისი მარცხი დაშავებული მარცხენა ტერფის ტკივილით ახსნა, იტალიელები კი ნედოს წინამძღოლობით ბრძოლას ბრძოლაზე იგებდნენ. ასე მოიპოვეს ოქროს მედლები რაპირით, დაშნითა და ესპადრონით (ხმლით) ფარიკაობებში. ნედომ გაიმარჯვა ხმლით პირად პირველობაშიც, სადაც ფრიად სახელგანთქმულ ფრანგებს ფილიპ კატიუსა და როჟე დუკეტსაც სძლია.

ანტვერპენში ძმებმა ხმლით პირად ფარიკაობაშიც ერთიმეორის მიყოლებით ჩამოიცილეს მეტოქენი, ფინალამდე გზა გაიკაფეს, იქ კი ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ. უფროსმა ძმამ უმცროსთან ბრძოლაში თავის ოლიმპიურ კარიერაში მეექვსე „ოქრო“ მოიპოვა.

გაივლის რამდენიმე წელიწადი და ალდო გაიხსენებს, — „ანტვერპენში ჩემი ძმა მართლაც საუკეთესო იყო იმ ოლიმპიადაზე, მე კი, ფაქტია, მეორე ვიყავი. ჩემი ძმის წინააღმდეგ საბრძოლველად სერიოზულად ვერ განვეწყე, თანაც მე დავამარცხე გოდენი, რასაც დიდი ენერგია შევალიე. როცა გოდენს მოვუგე, ძმა დამპირდა, რომ ჯილდოდ ხმლით პირად ფარიკაობაში წინააღმდეგობას არ გამიწევდა, მაგრამ მერე თქვა: „ნედო ნადი არ შეიძლება იყოს მეორე!“ და ფინალში მომიგო, მაგრამ მე მას სულაც არ ვადანაშაულებ. ჩვენ სამართლიანად, რაინდულად ვიბრძოდით გამარჯვებისთვის...“

ამის მერე ძმების პოპულარობა განუზომლად გაიზარდა. მათ იწვევდნენ სხვადასხვა ქვეყნებში და სხვადასხვა ტურნირებში. ძმებს უბრალოდ ტურნირებში მონაწილეობისთვის კი გვარიან გასამრჯელოს უხდიდნენ, რომ აღარაფერი ვთქვათ გამარჯვებულისთვის დაწესებულ პრემიებსა და პრიზებზე. ძმების მონაწილეობა ტურნირებში დიდ მოგებას აძლევდა ასპარეზობათა ორგანიზატორებს. იდებოდა ნიძლავები, ხეირს ნახულობდნენ ტოტალიზატორები. ეს ძმები პრაქტიკულად იყვნენ პირველნი, რომლებმაც ფარიკაობა შემოსავლის წყაროდ აქციეს. მათ პირველებმა აჩვენეს, რომ ზოგადად ფარიკაობა ევროპაში ფინანსურად მომგებიანი შეიძლებოდა გამხდარიყო.

ასე ფარიკაობა-ფარიკაობით მოიარეს მთელი ევროპა, მერე იყო სამხრეთ ამერიკაც, უფრო სწორედ ბუენოს აირესის საცხენოსნო კლუბი, რომლის ხელმძღვანელთათვისაც ალდო საფარიკაო გაკვეთილებს ატარებდა. უფროსი ძმა კი მალე ევროპაში დაბრუნდა, სადაც მას პროფესიონალებში ბრძოლები უხმობდა. 1935 წლიდან, როცა მისი წარმატებები მინავლდა, იტალიის საფარიკაო ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს. ხუთი წლის მერე ნედო ცერებრალური სისხლდენით გარდაიცვალა.

ავტორიტეტთა უმრავლესობა ნედო ნადის XX საუკუნის უდიდეს მოფარიკავედ მიიჩნევს. ალდო ზოგჯერ ეთანხმებოდა ამგვარ მოსაზრებას, ზოგჯერ კი ასეთად თავის თავს თვლიდა. იგი საკუთარ თავს ფარიკაობის უკანასკნელ დიდოსტატს უწოდებდა.

მისი საფარიკაო ბიოგრაფიიდან ყველაზე გახმაურებული ლუსიენ გოდენთან შეხვედრები იყო. ანტვერპენის ოლიმპიურ სარბიელზე ალდოს გამარჯვებამ ლუსიენ გოდენზე მათი მომავალი დაპირისპირებისადმი ერთიორად გაზარდა ინტერესი. ამგვარი შეხვედრა 1922 წლის 30 იანვრის ღამეს როგორც იქნა გაიმართა. ბრძოლა პარიზის ცირკში მოეწყო. მიუხედავად იმისა, რომ ბილეთი იმ დროისთვის ძალიან ძვირი, 100 ფრანკი ღირდა, ტრიბუნებზე ნემსის ჩასავარდნი ადგილი აღარ დარჩა. შეხვედრას 7 000 მაყურებელი დაესწრო, კიდევ 3 000 კაცი ტრიბუნებმა ველარ დაიტია და გაწბილებული უკან გაბრუნდა.

ამ ორი უდიდესი მოფარიკავის ბრძოლას საფრანგეთის მთავრობის მთელი კაბინეტი დაესწრო. იქ იყო დიპლომატიური კორპუსი, უმრავლესობა, იყვნენ სამხედრო, მაღალჩინოსნები, „კომედი ფრანსეზის“ მთელი დასი...

ამ ბრძოლაში გამარჯვებულს 50 ათასი ფრანკი აღუქვეს, დამარცხებულს კი 20 ათასს დაპირდნენ.

ლუსიენ გოდენმა მეტოქეს ოცი ჩხვლეტა მიაყენა, რასაც ალდო ნადიმ თერთმეტით უპასუხა. ეს მარცხი ალდო ნადიმ ძალზე განიცადა. ის საკუთარ თავს ადანაშაულებდა, რომ დათანხმდა მეტოქის პირობებს, რომლებიც ფრანგის წისქვილზე ასხამდა წყალს. ამასთან, ფარიკაობა გაიმართა პარიზში, სადაც მთავარი არბიტრი ფრანგი იყო, მსაჯობა კი — მიკერძოებული.

მაშ, რაღა რჯიდა ალდო ნადის? როგორც თავად იხსენებდა, პარიზში ორი რამის გამო იბრძოლა. პირველი: მოფარიკავემ მიცემული სიტყვა არ უნდა გატეხოს და პირობა შეასრულოს, მეორე: მისი უდიდებულესობა — ფული!

ამის მერე ალდო ნადიმ გააგრძელა ტრიუმფალური აღმასვლა, გოდენი კი მატჩ-რევანშზე ვერაფრით დაითანხმა. თუმცა, მათ შორის საჩვენებელი გამოსვლა მაინც მოეწყო, სადაც ამგვარი შეჯიბრების წესისამებრ ქულები არ დაუთვლიათ, გამარჯვებული კი ბოლო სამ ჩხვლეტას უნდა გამოევლინა მას მერე, როცა მსაჯი ბრძოლის დასასრულს გამოაცხადებდა. და როცა მსაჯმა ეს გამოაცხადა, ალდო ნადიმ ელვისებურად ზედიზედ სამი ჩხვლეტა მიაყენა მეტოქეს, რაზეც გოდენს აღმოხდა: „ჩემი მეტოქე უდიდესი მოფარიკავეა. მისი დამარცხება უახლოესი 20 წლის განმავლობაში შეუძლებელია!“

**ავთანდილ გურასაშვილი**



ნედო ნადი ანტვერპენში ოლიმპიური ოქროებით ბელგიის მეფემ დახუნძლა



ალდო ნადი მის იტალიასთან და მის დანიასთან ერთად



ჯუზეპე (ბეპე) ნადი თავის ერთ-ერთ აღსაზრდელთან

## რეგულარული ჩემპიონატი

# აი, ლანდები

## ნიუიორკელებს პლეი ოფი დაესიზმრათ

— 11 მარტი —

**ბუფალო 2:3 ბოსტონი**

*0:0 1:0 1:2 0:1*

1:0 დიუმონი (33), 1:1 შლეგრი (50), 1:2 ლაპოინტი (59), 2:2 შატანი (60), 2:3 კნუბლი (62)

ხუთშაბათს „ბუფალომაც" წააგო, მაგრამ ოვერტაიმში დამარცხდა და ქულა მაინც შეიმატა. თანაც მასპინძლები მხოლოდ ძირითადი დროის ბოლო წამებზე გადარჩნენ. „კალგარის" ოთხი გოლიდან სამი ახლებმა ვილე ნეიმინენმა და მარკუს ნილსონმა მიითვალეს.

**ნიუ ჯერსი 6:4 ჩიკაგო**

*1:1 3:1 2:2*

1:0 სტივენსონი (8), 1:1 ნიკულასი (19), 2:1 მარშალი (24), 3:1 ბრილინი (34), 4:1 მედენი (35), 4:2 რუუტუ (40), 4:3 ბარინკა (46), 5:3 ელიაში (52), 5:4 არნასონი (55), 6:4 ელიაში (60)

**კოლუმბუსი 2:4 დეტროიტი**

*1:1 1:1 0:2*

1:0 ლეტოვსკი (6), 1:1 უილიამსი (12), 1:2 უილიამსი (28), 2:2 ჟერდევი (37), 2:3 ჰალი (53), 2:4 ბეტერბერგი (60)

**მონრეალი 2:3 ფლორიდა**

*0:1 1:0 1:1 0:1*

0:1 სიოკინენი (9), 1:1 ბუიონი (28), 1:2 ოლსონი (42), 2:2 პერო (44), 2:3 იოკინენი (62)

**ფილადელფია 2:2 დალასი**

*1:1 0:0 1:1 0:0*

1:0 ამონტე (12), 1:1 დიმაიო (19), 2:1 რაგნარსონი (45), 2:2 მოროუ (60)

**ტორონტო 2:3 პიტსბურგი**

*1:1 0:2 1:0*

0:1 ჯეკმენი (7), 1:1 ნუინდაიკი (16). 1:2 ფატა (22), 1:3 მოროზოვი (37), 2:3 სუნდინი (54)

**სენტ ლუისი 1:1 ნეშვილი**

*0:1 1:0 0:0 0:0*

0:1 ტიმონენი (18), 1:1 უეინრიჩი (37)

**სან ხოსე 5:4 აილენდერსი**

*0:0 4:3 1:1*

0:1 ეშამი (22), 1:1 კოროლიუკი (23), 2:1 ეკმანი (27), 3:1 ჩიჩუ (30), 3:2 რონინგი (33), 4:2 მაკოლი (35), 4:3 რონინგი (35), 5:3 ჩიჩუ (42), 5:4 პეკა (51)

ადრე ვწერდით, აღმოსავლეთში საპლეიოფო ბრძოლა დასრულდაო, მაგრამ მოვტყუვდით. მაშინ კონფერენციაში მერვე ადგილზე მყოფი „აილენდერსი" 8 ქულით უსწრებდა „ბუფალოს", თან ერთი თამაშით ნაკლები ჰქონდა ჩატარებული... მაგრამ ნიუიორკელებმა იმდენი ქნეს, ჩემპიონატს ინტრიგა დაუბრუნეს. უკვე ექვსი თამაშია, „აილენდერსი" ვერ იგებს. ხუთშაბათს „სან ხოსესთან" მარცხის შემდეგ „ბუფალოსთან" სხვაობა 4 ქულამდე შემცირდა. ჩატარებული მატჩების რაოდენობაც თანაბარია.



კალგარელმა ვილე ნეიმინენმა ოტაველი რადეკ ბონკი დასცა

ნიუიორკელებს მოსალოდნელზე ადრე დაუბრუნდა ალექსეი იაშინი. რუსმა შექმნილი სიტუაციის გამო გადადგა ეს ნაბიჯი — ვინ იცის — კლუბმაც მოსთხოვ, მაგრამ ჯერჯერობით აშკარად ვერ არის მოწოდების სიმაღლეზე.

ამ მატჩში სტუმრები ბოლომდე იბრძოდნენ, სამჯერ მინიმუმამდეც შეამცირეს სხვაობა. თანაც ბოლო გოლი მაიკ პეკამ უმცირესობაში შეაგდო, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

„ცხადია, „ბუფალოს" ბოლოდროინდელმა თამაშმა ცოტა დაგვაბნია, მაგრამ ძალიანაც არ ვნაღვლობთ ამას. საკმარისია, ჩვენი თამაში დავიბრუნოთ და ყველაფერი დალაგდება" — დაიმედა გუნდის ქომაგები პეკამ.

# ბერტუცის ფულსაც მიატანინებენ და პროკურატურაც მიადგება

**ხუთშაბათს** ნჰლ-მა გამოაქვეყნა თავისი გადაწყვეტილება ბერტუცის საქმესთან დაკავშირებით. სტივ მურთან ანგარიშსწორება ბერტუცის სეზონის ბოლომდე (ამაში პლეი ოფიც იგულისხმება) დისკვალიფიკაციად დაუჯდა. „იმას, რაც ბერტუციმ გააკეთა, ჩვენს თამაშთან არაფერი არა აქვს საერთო, ასეთ ძალადობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს და ჩვენ არასოდეს შევეგუებით ამას" — თქვა საგანგებო პრესკონფერენციაზე ლიგის კომისიონერმა გერი ბეტმენმა.

დისკვალიფიკაციასთან ერთად ბერტუცი 50 000 დოლარითაც დაჯარიმდა, ხოლო გუნდს 250 000 დოლარი შეაწერეს. ლიგის ვიცე-პრეზიდენტ კოლინ კემპბელის თქმით, კლუბი იმიტომ დაჯარიმდა, რომ მწვრთნელებმა არ გააფრთხილეს ჰოკეისტები, რათა მათ შური არ ეძიათ მურზე. შეგახსენებთ, რომ „ვანკუვერის" და „კოლორადოს" წინა მატჩში მურმა იდაყვი ჩაარტყა კანადელთა ლიდერ მარკუს ნესლუნდს და ყველაფერი ამით დაიწყო.

ზოგს ლიგის გადაწყვეტილება ოდნავ ემკაცრა, ამიტომ ხუთშაბათის კომენტარებში ბერტუცისადმი სიბრალულიც გაკრთა. ცხადია, ყველაზე მეტს „ვანკუვერის" მესვეურები ბუზღუნებდნენ. გენერალურ მენეჯერ ბრაიან ბურკის თქმით, ლიგა ყურადღებას იმაზე ამახვილებს, რომ ეს შურისძიება გარკვეულწილად გუნდის თავკაცების პროვოცირებული იყო. უბრალოდ, თავად ვერ გათვალეს, რა სისასტიკემდე მივიდოდა ყველაფერი.

„სულელები ხომ არ გგონივართ? როგორ ფიქრობთ, ჩვენს მეორე ფორვარდს შურისძიების გამო გავწირავდით? ასეთი საქმეებისთვის გუნდში სხვა ხალხი არსებობს. ამიტომ ბერტუცის ქმედება წინასწარ განზრახული სულაც არ იყო. არ მესმის, რატომ გვაჯარიმებს ლიგა და რატომ გვაბრალებს იმას, რაც არ გაგვიკეთებია" — თქვა ბურკმა.

„ვანკუვერის" მოხელის გულისწყრომა გასაგებია. ალბათ გულის სიღრმეში მას სჯეროდა, რომ ბერტუცის პლეი ოფამდე აეკრძალებოდა თამაში, რეალობა კი სულ სხვა არის — სათასო ბრძოლაში გუნდს არ ეყოლება ერთ-ერთი მთავარი მეგოლე. გუნდი ლიგაში საუკეთესო სამეულის ბერტუცი-მორისონი-ნესლუნდის გარეშე დარჩა. თუმც ეს უკვე მხოლოდ „ვანკუვერის" პრობლემაა.

ხუთშაბათსვე გამოცხადდა, რომ გამოძიების შედეგები 6-8 კვირაში გახდება ცნობილი და გაირკვევა, ყველაფერ ამასთან ერთად დაეკისრება თუ არა ბერტუცის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

**სამველ ლარიბიანი**



ტოდ ბერტუცისთვის ყინული ჩატყდა





ელექტრონული ბიბლიოთეკა

ცსკა — ტორპედო-მეტალურგი. შარშანდელმა ჩემპიონებმა, არმიელებმა სეზონი უგოლოდ დაიწყეს

### ინგლისი

II დივიზიონი. XXXVI ტური

ბრისტოლი 1:0 რაშდენი

### გერმანია

მეორე ბუნდესლიგა XXIV ტური

ალენი 0:0 კოტბუსი

ტრირი 4:0 რეგენსბურგი

ალემანია 3:1 ლიუბეკი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XXII ტური

ესენი 1:0 ბრაუნშვაიგი

შალკე (მ) 0:0 ვერდერი (მ)

სამხრეთ რეგიონალლიგა XXII ტური

ბაიერნი (მ) 0:2 ფიურტი

ზაარბრიუკენი 1:0 კიკერსი

შტუტგარტი (მ) 1:1 აუგსბურგი

აალენი 2:0 ზიგენი

### იტალია

სერია B. XXXII ტური

ალბინოლეფე 0:0 ჯენოა

ფიორენტინა 2:1 პალერმო

### პოლონეთი

I ლიგა. XIV ტური

ლეგია 2:1 ოდრა

### ფინეთი

ლიგის თასი. V ტური

ჰაამენლინა 2:2 კუოპიო

იარო 1:3 ტურკუ

ჯაზი 0:3 როვანიემი

### ბელგია

იუპილერლიგა. XXVI ტური

ჰეუსდენი 2:3 ლოკერენი

### ავსტრია

პირველი დივიზიონი XXIII ტური

ლინცერი 2:2 ლუსტენაუ

ლეობენი — კაპფენბერგი გადაიდო

### შვეიცარია

სუპერლიგა. XXIII ტური

სერვეტი 1:1 ვილი

### თურქეთი

სუპერლიგა. XXV ტური

ანკარაგიუჯიუ 1:2 ტრაბზონი

### რუსეთი

პრემიერლიგა. I ტური

ცსკა 0:0 ტორპედო-მეტალურგი

### ჰოლანდია

I დივიზიონი. XXV ტური

ტვენტე 2:5 ნაიმეგენი

მეორე დივიზიონი XXVII ტური

ვენლო 2:5 დენ ბოსხი

ოსი 1:1 კამბური

ექსელსიორი 3:3 ეინდჰოვენი

დორდრეხტი 0:0 სპარტა

იგლსი 3:1 სიტარდი

ჰელმონდი 2:0 მაასტრიხტი

ემენი 1:1 ჰაარლემი

ტელსტარი 1:1 ვეენდამი


სიახლე საქართველოში!

საუკეთესო ხარისხის სპორტული ფორმის (ტრუსები, მაისურები) დამზადება გნებავთ, თქვენი სურვილისამებრ, გნებავთ თქვენს მიერ კატალოგში შერჩეული ესკიზით





ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები...

სპორტული ატრიბუტიკა: დროშები, ვიმპელები...

საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91

53-76-82 899 56-18-49

REUTERS მოსკოვიდან



# რუსეთი ემზადება

რუსთა პრეზიდენტ პუტინს ნოვო ოგარიოვოს ქალაქგარეთა რეზიდენციაში მიუწვევია ქვეყნის ოლიმპიური გუნდის კანდიდატები და მათ გასაუბრებია. ამ სურათზე პუტინი ხელს ართმევს ტანმოვარჯიშე ალინა კაბაევას, შორიახლო კი ამის თანაგუნდელი სვეტლანა ხორკინა დგას.

# მაგათ ვაჩვენებ

არა დოპინგს! გავწმინდოთ ჩვენი ბეისბოლი! — აი, ამგვარი განწყობით ლაპარაკობს ამერიკელი სენატორი ჯო ბიდენი სენატის ვაჭრობის, მეცნიერებისა და სპორტის კომიტეტის სხდომაზე. სწორედ ახალი გახმიანებულია ის ამბავი, რომ ბევრი პროფესიონალი ბეისბოლისტი სტეროიდებს მოიხმარს.



REUTERS ვაშინგტონიდან

REUTERS პეკინიდან




# ზაუბერი ჩინეთში

სექტემბერში შანხაიში პირველად გაიმართება ჩინეთის დიდი პრიზი საფორმულე ამბავში. პეკინში კი თავისი ახალი მანქანით უკვე გამოჩნდა „ზაუბერის“ გუნდის პატრონი პეტერ ზაუბერი, რომელსაც „ტაიკანგის სადაზღვევო კომპანიის“ თავკაც ლიუ ჟინგლუნთან სპონსორობის კონტრაქტიც გაუფორმებია.

# ორივემ მოიგო

ერთმანეთს ჩაჰკონებიან ავსტრიელი სათხილამურეები რენატე გოეტშლი და სტეფან ებერჰარტერი. მიზეზი ერთია, ორივეს მოუგია მსოფლიო თასის ბოლო სამთო შეჯიბრი და 2004 წლის სეზონის დახურვისას გამარჯვებულებადაც გამოცხადებულან სესტრიერის მთებში.



REUTERS სესტრიერიდან

# სეზონის პირველი გოგო

ალისა კამპლინი 2004 წლის სეზონის ფრისტაილის გამარჯვებულია. სეზონის ბოლო საჰაერო პირუეტები ამ ავსტრალიელმა გოგომ სოზ დოლის მთებში გააკეთა და პირველობაც არავის დაუთმო.



REUTERS სოზ დოლიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge